# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 4 ივნისი 2005 №125 (2447) ფასი 50 თეთრი




მიქელე იანკუ ტირანიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

## დღეს ტირანა დაიხურება

მატჩის დაწყებამდე ხუთი საათით ადრე „ქემალ სტაფას" მიმდებარე ტერიტორია 300 მეტრის რადიუსით გადაიკეტება. დაიხურება ყველა კაფე-ბარი, მარკეტი და თავშეყრის სხვა ადგილები. ფიფას გადაწყვეტილებამ, ალბანეთმა ცარიელი ტრიბუნებით ითამაშოს, აზარალა არა მარტო ფეხბურთის ფედერაცია და ქომაგები, არამედ ის ხალხიც, ფეხბურთთან საერთო რომ არ აქვს. ცნობისათვის, „ქემალ სტაფა" ქალაქის ცენტრშია.

ამ სტადიონზე საქართველოს ნაკრებმა გუშინ 65 წუთი ივარჯიშა. ვარჯიში დახურული იყო, მხოლოდ რამდენიმე ფოტორეპორტიორი დაესწრო. ფიფას წარმომადგენლები და პოლიცია პერიმეტრს მკაცრად აკონტროლებდნენ.

ლევან კობიაშვილი: უმაყურებლობა ცუდია, მაგრამ ეს უფრო ალბანელებს ავნებს. მოედანი ჩინებულია, ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით.

ჰანს-პეტერ ბრიგელმა გუნდი გუშინვე ზღვისპირა დურესში დააბრუნა და „ნიკო დოვანას" სტადიონზე ავარჯიშა.

— საქართველოსთან იმ ფეხბურთელებს ვათამაშებ, ვინც არ ნებდება — თქვა ალბანელთა მწვრთნელმა.



AFP ტირანიდან

## ახლა გაზრდა, მერე გახარება

### U 21 ალბანეთი 0:1 საქართველო





## ტაში! საგარეჯო ევროპაში

დღეს ქართული ძიუდოს ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერება. გერმანიის ქალაქ აბენსბერგში დილის 10 საათიდან, ჩვენებურად თორმეტიდან, 2005 წლის ევროპის საკლუბო ჩემპიონატი გახურდება, რომელშიც ცხრა ქვეყნის თექვსმეტი უძლიერესი კლუბი ჩაერთვება. სალამომდე ის ოთხი უძლიერესი გამოვლინდება, საშემოდგომო ნახევარფინალებში მონაწილეობის უფლება რომ ექნება. ასეთთა შორის მოსახვედრად ჩვენი „საგარეჯოც“ იბრძოლებს..

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)
## შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ელბასანი. 3 ივნისი. 18 საათი. რუჟდი ბიჟუტი

### ალბანეთი 0:1 საქართველო

0:1 გოცირიძე (69)

ალბანეთი: ლანი, დუშკუ, ჯურა, კრაია, პალაჯი, პოდო, ჩაპია, კაჩანი (ველიაი 46), ბარკა, ბოშნიაკუ (ბეგა 72), სალიპი (მილე 62)
მწვრთნელი: ჰასან ლიკა

საქართველო: თოთლაძე, ქილაძე, მიქიაშვილი, ღვინიანიძე, ლომიძე, კანკავა (ქლენტი 70), გონგაძე, ელიავა, გურული (გოცირიძე 58), დვალიშვილი (ნავალოვსკი 86), ქელიძე
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: ჩაპია, კანკავა

მსაჯები: ს. პოდესკი; მ. ბუსინანი, მ. გიუსტი; გ. როსი (ყველა სან მარინო)

# ალბანელების ბურთი ქართველებმა გაიტანეს
## გოჩა ტყებუჩავა გადახალისებამ გაახალისა

მიძელე იანკუ ელბასანიდან

**თავიდანვე** იმ ამბავს მოვყვები, მატჩის ბედი რომ გადაწყვიტა და მასპინძლებს მორიგი მარცხი აგემა: 69-ე წუთი იყო, როცა ქართველებმა მოედნის ცენტრში მეტოქის შეტევა წამოწყებისთანავე ჩაშალეს და იქით შეუტიეს. მარცხენა ფლანგიდან ზაალ ელიავა მასპინძელთა საჯარიმოში ისე შეიჭრა, ხელი არავის შეუშლია, იქ კი ქართველი ფორვარდი სამი მცველის ალყაში მოექცა. ელიავამ ბურთი თითქოს დაკარგა, მაგრამ... იქვე, კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბექა გოცირიძე შენიშნა და ზუსტადაც გადააწოდა. გოცირიძემაც არ დააყოვნა და ერვინ ლანის აუღებელი დაურტყა.

სტუმრებს უფრო ადრეც შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მე-20 წუთზე დავით ქილაძის შორიდან და ძალიან სახიფათოდ დარტყმული მეკარემ მოიგერია, სამი წუთის შემდეგ კი გიორგი ქელიძის თავური მცირედით ასცდა ალბანელთა კარს.

მასპინძლებს, რომლებიც მეტწილად უტევდნენ, სულ ერთადერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მეკარე ირაკლი თოთლაძემ ივარგა და სწორედ ამ გაცუდებელი შანსის შემდეგ შეგორდა ბურთი ალბანელთა კარში.

მატჩის ბოლოს კი ალბანელთა უპირატესობა აშკარა იყო და წამატებულ წუთებზე ზედიზედ ორი უნაღდესი მომენტი ვერ გამოიყენეს. ჯერ ალბან მილეს დარტყმული მოხვდა ხარიხას, მერე კი, 93-ე წუთზე ისევ თოთლაძე გაუმკლავდა ემილიანო ბარკას დარტყმულს.

როგორც გითხარით, მთლიანად მატჩი ალბანელთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმართა დაცვა, ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდა. ქართველებს, რომლებსაც უკანა ხაზი საფუძვლიანად გაემაგრებინათ, კონტრშეტევა და ტექნიკურად უზადოდ თამაშიც კარგად შეძლებიათ.

*გოჩა ტყებუჩავა:* მიხარია, რომ მოვიგეთ და ალბათ არავინ იტყვის, ეს არ დაიმსახურეთო. დღევანდელი წარმატება მით უფრო გასახარია, რომ, ფაქტობრივად, ახალი შემადგენლობით ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, ნაკლი გვქონდა, მაგრამ საგანგაშო არაფერი ყოფილა. გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ, ყველას მადლობას ვეტყვი.

*ჰასან ლიკა:* ჩემი ფეხბურთელების მომზადების დონე მატჩამდეც არ მაკმაყოფილებდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და სადღეისოდ ყველა საუკეთესო ვათამაშე. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ უკეთესად, მაგრამ... შედეგი სტუმრების სასარგებლოა. განსაკუთრებით უკმაყოფილო კი ჩვენი თავდამსხმელებით დავრჩი.



ფატმირ მეჯინი ელბასანიდან

**უკრაინა 2:1 ყაზახეთი**
**თურქეთი 0:1 საბერძნეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 6 | 1 | 0 | 17:7 | 19 |
| საბერძნეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:5 | 14 |
| თურქეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:4 | 14 |
| უკრაინა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:7 | 13 |
| საქართველო | 7 | 2 | 2 | 3 | 6:14 | 8 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:13 | 5 |
| ყაზახეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:15 | 0 |

# ცვლილებები იქნება, დინამო გაძლიერდება
## ბუბა ტყავაძე კონტრაქტებს კითხულობს



ვაჟიკო ვარდოსანიძის ფოტო

*გუშინწინ საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" ახალი მმართველი დირექტორის ვინაობა გამოაცხადა — კლუბი სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ბუბა ტყავაძემ ჩაიბარა, რომელმაც დავით პეტრიაშვილი შეცვალა.*

*რას აპირებს ახალი დირექტორი, რა გეგმები აქვს, რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ „დინამოში" ბუბა ტყავაძის დანიშვნის შემდეგ? ამ და სხვა კითხვებს მმართველი დირექტორი ორშაბათის პრეზენტაცია-პრესკონფერენციაზე წვრილად უპასუხებს, ჩვენ კი სადღეისოდ ეს მცირე ინტერვიუ ვიკმაროთ.*

— რა თქმა უნდა, უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა და რაკი მმართველ დირექტორობას დავთანხმდი, ვფიქრობ, რომ ჩემი საქმის კარგად კეთებას შევძლებ — გვითხრა გუშინ ბუბა ტყავაძემ — ახლა უკვე ჩემპიონ გუნდს უნდა გავუძლვე და ვეცდები, ეს ტიტული „დინამომ" ჩემ ხელში არ დაკარგოს.

**— რა იქნება პირველი საქმე, რასაც ახალი მმართველი დირექტორი გააკეთებს?**

— ისეთი გუნდი უნდა გავაკეთოთ, რომელიც მუდამ პირველობისთვის იბრძოლებს. ეს ზოგადად, უფრო კონკრეტულად კი, პირველი ყოვლისა, ფეხბურთელთა კონტრაქტებს გადავხედავთ, ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი. კლუბის შიდაფინანსურ საკითხებზეც ბევრი სამუშაოა.

**— სხვათა შორის, ითქვა, რომ „დინამოში" ფინანსური პრობლემებია და ხელფასები იგვიანებსო...**

— არ ვიცი, რა ითქვა, დღესდღეობით კი „დინამოში" ფინანსური პრობლემები არ არის.

**— კონტრაქტებს გადავხედავთო, თქვით. ჩავთვალოთ, რომ „დინამოში" რადიკალური ცვლილებები იგეგმება?**

— „დინამოში" იქნება ისეთი ცვლილებები, რაც გუნდს წაადგება და გააძლიერებს.

**— წლევანდელ ევროტურნირზე „დინამოს" რა მიზანი აქვს?**

— „დინამოს" ყოველთვის მაღალი მიზნები აქვს.

**— რეალურად?**

— ორშაბათის პრესკონფერენციას „დინამოს" მწვრთნელი კახა ცხადაძეც დაესწრება და მიზნებზე იქ ვილაპარაკოთ.

**კობა ინასარიძე**

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXIV ტური
შტუტგარტი (მ) 2:1 ბაიერნი (მ)

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. VII ტური
ჰაკა 1:1 ინტერი
ტპ-47 0:1 მიუპა

### ირლანდია
პრემიერლიგა. XII ტური
დერი სიტი 3:0 დროჰედა
შემროკი 1:2 ბოჰემიანსი
სენტ პატრიკსი 2:0 ბრეი
დუბლინი 1:1 შელბურნი

### ჰოლანდია
გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. IV ტური
როზენდალი 2:1 ტელსტარი
ვენლო 1:1 ვოლენდამი
B ჯგუფი. IV ტური
ზვოლე 1:1 ჰელმონდი
სპარტა 1:0 გრააფსხაპი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21) შესარჩევი ეტაპი
I ჯგუფი
ჰოლანდია 2:0 რუმინეთი
III ჯგუფი
პორტუგალია 2:1 სლოვაკეთი
IV ჯგუფი
ირლანდია 2:2 ისრაელი
V ჯგუფი
ბელარუსი 1:2 სლოვენია
ნორვეგია 1:0 იტალია
შოტლანდია 0:0 მოლდოვა
VI ჯგუფი
აზერბაიჯანი 1:1 პოლონეთი
VII ჯგუფი
სერბეთი 1:1 ბელგია
სან მარინო 1:4 ბოსნია
ესპანეთი 2:0 ლიტვა
VIII ჯგუფი
ბულგარეთი 2:1 ხორვატია
შვედეთი 6:0 მალტა
ისლანდია 0:1 უნგრეთი

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. II საკვალიფიკაციო წრე
I ჯგუფი. IV ტური
უზბეკეთი 1:1 სამხრეთ კორეა
საუდის არაბეთი 3:0 ქუვეითი
II ჯგუფი. IV ტური
ირანი 1:0 ჩრდილოეთ კორეა
ბაჰრეინი 0:1 იაპონია

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა
III ჯგუფი. VII ტური
ლიბია 0:0 კოტ დივუარი

### ქომაგთა ლიგის განცხადება
პრესაში გამოქვეყნდა გიორგი ნემსაძის და ნოდარ ახალკაცის საარჩევნო პროგრამები, რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ქომაგთა ლიგა ითვალისწინებს რა ქომაგთა ინტერესს, ორშაბათს, 6 ივნისს 15 საათზე ჭადრაკის სასახლეში გულშემატკივრებთან შესახვედრად იწვევს პრეზიდენტობის კანდიდატებს.

# არისტოკრატული დიპლომატია



**კახა კალაძე: ლონდონელებს ხუთწლიანზე შევუთანხმდი**

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველ კახა კალაძის „გაარისტოკრატებას“ ცოტალა უკლიაო, კი ვთქვით, მაგრამ უცხოური საინფორმაციო სააგენტოები სხვაგვარად ჭიკჭიკებენ. თავად ფეხბურთელმა გვითხრა, ალბანეთთან მატჩის შემდეგ მილანში ჩავალ, იქ დაველოდები ზარს „ჩელსიდან“ და იმედია, საქმე მალე მოგვარდებაო



**ჟოზე მაურინიუ: ჯერ დელ ორნო, ქართველი კი მეორე ვარიანტია**

„ზუსტად ვერ გეტყვით, როდის გავხდები ოფიციალურად ჩელსელი. ინგლისელებს უკვე შევხვდი, ყველა პირობაზე შევუთანხმდი. ლაპარაკია 5-წლიან კონტრაქტზე, რომელიც ხელს მაძლევს, ახლა „მილანი“ — „ჩელსის“ მოლაპარაკების ჯერია. ფინანსური საკითხიღა დარჩა გასარკვევი“ — ეს კი კალაძემ უკრაინელ ჟურნალისტებს უთხრა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანს „მილანიდან“ წასვლაზე გული კი ეთანადრება, მაგრამ მეტი სათამაშო პრაქტიკა მჭირდებაო, ამბობს:

„კლუბმა კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. ლონდონურმა გრანდმა წლეულს ინგლისის ჩემპიონობა და ლიგის თასი მოიპოვა, ახლა კი ჩემპიონთა თასის მოგება სურს. მეც ძალიან მინდა ახალ გარემოში მოხვედრა. რომან აბრამოვიჩის მოსვლის შემდეგ „ჩელსი“ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცა და ლონდონელთა დიდი გუნდის ისტორიაში ჩემი გვარიც თუ შევა, ამას რა აჯობებს“.

კალაძეს ეჭვი არ ეპარება, რომ „მილანი“ მის ტრანსფერს არ შეაფერხებს ანუ დიდ თანხას არ მოითხოვს — გაისად კონტრაქტი მეწურება და იტალიელებს ახლავე უნდა აწყობდეთ ჩემი გაყიდვაო. რაც შეეხება ერნან კრესპოში გაცვლის ვარიანტს, ჩვენიანს ეს არ აინტერესებს — არგენტინელს თავისი ამბიციები აქვს, მე ჩემიო.

„რაც მთავარია, „ჩელსის“ ბოსი რომან აბრამოვიჩი და მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ჩემით დაინტერესებულნი არიან“ — აცხადებს კახა.

გუშინ კი კიდევ ერთი სიახლე წამოტივტივდა ქართველის ტრანსფერზე. მაურინიუ ამბობს, „ბილბაოს“ მცველი ასიერ დელ ორნო ჩვენი უნდა გახდეს, ბასკებთან სწრაფი ტემპით ვაწარმოებთ მოლაპარაკებასო.

ესპანელი ზუსტად კალაძის პოზიციაზე, მარცხენა მცველად თამაშობს და რა მოხდება, თუ „არისტოკრატები“ დელ ორნოს შეიძენენ? მაურინიუს თქმით, ამ შემთხვევაში კალაძის გადმოყვანა გამოირიცხება.

„ჩვენ, ან დელ ორნოს ვიყიდით, ან კალაძეს. ორივე ერთად არ გვინდა, რადგან როგორც კი მარცხენა მცველის ვაკანსია შეივსება, სასწრაფოდ ნახევარმცველი და თავდამსხმელი უნდა გადმოვიბიროთ“ — განმარტა პორტუგალიელმა.

**ილია ნანობაშვილი**

# დაშლა-არმოშლა

## „ტორპედო“ უეფაზე ითამაშებს, მერე კი...

**„უეფას თასის** მატჩების შემდეგ კლუბიდან მივდივარ. უბრალოდ, არ მინდა, „ტორპედოს“ ადგილი ევროტურნირზე სხვა გუნდმა დაუმსახურებლად დაიკავოს. ამას „თბილისზე“ ვამბობ, რომელმაც ბოლო ტურის სკანდალურ თამაშში დაგვაბრალა, სტადიონზე თქვენმა ქომაგებმა ქვები წინასწარ შეიტანესო“ — გვითხრა „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა.

და რა მოხდება ამ შემთხვევაში? დარჩებიან თუ არა „ტორპედოში“ ფეხბურთელები და ოთარ გაბელია? ქუთაისელთა მწვრთნელმა გვითხრა, 15 ივნისს გუნდი უნდა შეიკრიბოს და საუეფასთასო მზადება დავიწყოთ, მაგრამ თუ ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში არ გვიპატრონებს, რაღა მინდა „ტორპედოშიო“...

„15-მდე შედან ნანიკაშვილსაც და კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძესაც დაველაპარაკები, ძალიან მინდა, „ტორპედომ“ შემადგენლობა შეინარჩუნოს. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ალბათ ფეხბურთელებს დავიტოვებთ. შესაძლოა, ჩვენთან იჯარით მოთამაშეები — დავით ბაქრაძე, გიგლა ახალაია, მირზა მერლანი — „ტორპედოში“ დარჩნენ. ვნახოთ, ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით“ — გვითხრა გაბელიამ.

**ილია ნანობაშვილი**

# სამაისო ასათიანი



**რუსული** პრემიერლიგის მაისის თვის საუკეთესო ფეხბურთელი მოსკოვის „ლოკომოტივის“ კაპიტანი დმიტრი ლოსკოვი გახდა 7,00 ქულით. მეორეზე გავიდა იმავ „ლოკომოტივის“ და საქართველოს ნაკრების წევრი მალხაზ ასათიანი — 6,50 ქულა, მესამეზე კი ასევე რკინიგზელი მარატ იზმაილოვი.

საინტერესოა, რომ ასათიანი შარშანდელის დარად წლეულსაც ყოჩაღობს, ბლომად ქულებს აგროვებს და კვლავაც პრემიერლიგის საუკეთესო მცველობის მთავარი კანდიდატია. ამავდროულად, მალხაზი საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელის ტიტულისთვისაც იბრძვის და ჯერჯერობით მესამე ადგილზე კია, თუმცა წინ ხომ ნახევარ სეზონზე მეტია.

**ძახა შალამბერიძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ჩვენი მეტოქე

**ფინეთი 0:1 დანია**

0:1 სილბერბაუერი (90)

**ფინეთი:** იასკელაინენი, ნურმელა, საარინენი, ტიჰინენი (კუივასტო 58), ჰიიპია, რიიჰილაჰტი, ლიტმანენი (ვისი 58), იოჰანსონი, ერიომენკო, კოპტეფი (კოლკა 46), კუქი (ფორსელი 79)

**დანია:** სორენსენი (კრისტიანსენი 46), პრისკე, პოულსენი (დ. იენსენი 46), აგერი, კროლდრუპი, ნ. იენსენი (იეპსენი 70), გრავესენი, ტომასონი (ვურცი 84), იორგენსენი, რომედალი (სილბერბაუერი 79), პერესი

# დინამიტი ბოლო წუთზე აფეთქდა

**მორტენ ოლსენის** დანიამ მეზობელ ფინელებს „კოპენჰაგენის“ 23 წლის ფორვარდ მიკაელ სილბერბაუერის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოუგო. სილბერბაუერი ინდივიდუალურად გაძვრა სამ მასპინძელს შორის და იარი იასკელაინენს ახლო კუთხეში დაურტყა. სხვათა შორის, გოლის ავტორი „დინამიტთა“ რიგებში ოდენ მესამე მატჩს ატარებდა.

პირველი ტაიმი ძალიან მოსაწყენი იყო. ერთადერთი მომენტი ფინელებს ჰქონდათ, როცა აკი რიიჰილაჰტის თავური დანიელმა მცველმა ძლივს გამოიტანა კარიდან. მეორე ნახევარში ოლსენის ბიჭები გააფთრდნენ, ნიკლას იენსენმა და დენის რომედალმა ხარიხაც შეამოწმეს, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ სილბერბაუერს ეწერა.

დანიელთა თავკაცი თავისიანების გარჯით უკმაყოფილო დარჩა, პასები არ გამოგვდიოდა და საერთოდაც, ჩვენ სიმაღლეზე ვერ ვიდექით: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ და ერთადერთი, რაც გამიხარდა, ის იყო, რომ ოთხი დებიუტანტი გამოვცადე. რაც უნდა იყოს, ალბანეთთან მატჩის წინ ფინელებთან პაექრობა აუცილებლად გამოგვადგება“.

ფინელებთან დანიელებს მარტინ ლაურსენი, იესპერ გრონკიერი და პეტერ მადსენი აკლდათ ტრავმების გამო — ისინი ვერც 8 ივნისს ითამაშებენ ალბანეთთან.

შეგახსენებთ, „დინამიტები“ მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში მეოთხე ადგილზე არიან.

**ილია ნანობაშვილი**



AFP ტაბპუკიდან

მარტინ იორგენსენის (№10) დანიამ ფინელები ბოლო წუთზეღა გატეხა

## geo_geo_fan@hotmail.com

ვაგლახ, საქართველოს ნაკრებს დაკარგული აქვს გერმანულ მუნდიალზე მოხვედრის შანსი. ამიტომაც, ალბანეთთან მატჩის წინ აღარ გვითხოვია თქვენთვის წერილების გამოგზავნა.

ახლა უკვე მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის უნდა დავიწყოთ მზადება და მოდით, ალბანეთთან მატჩი ამ მზადების დასაწყისად მივიჩნიოთ.

თამაშის მერე კი ტრადიციულად გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები გამოგვიგზავნოთ როგორც კონკრეტულად ამ მატჩის შესახებ, ასევე საქართველოს ნაკრების მომავალზე.

მისამართი იგივეა: geo_geo_fan@hotmail.com

geo_geo_fan@hotmail.com



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ზესტაფონი სამი მხრიდან შენდება

რამდენიმე დღეა, ზესტაფონში ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო. გეხსომებათ, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ორი საშინაო მატჩი ზესტაფონელებმა ლანჩხუთში და გორში ჩაატარეს, მიზეზი კი სწორედ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები იყო.

სადღეისოდ ზესტაფონში მოედნის საფარს ცვლიან. მონტაჟდება სადრენაჟო სისტემა, რასაც ახალი მინდვრის დაგებამდე სასუქებით შეჯერებული საფარი გადაეგება, მოგვიანებით კი თურქეთიდან ჩამოტანილი მინდორი დაიგება თანამედროვე მოსარწყავი სისტემითურთ.

— „ზესტაფონს" თასის ფინალი რომ მოეგო, უეფას თასის მატჩებისთვის სტადიონი მზად იქნებოდა, ახლა კი არსად გვეჩქარება, ყველაფერს ყურადღებით ვაკეთებთ და ვფიქრობ, აგვისტოში მინდორი მზად იქნება. საფარი უმაღლესი ხარისხისაა, სარწყავი სისტემა კი სწორედ ისეთი იქნება, 2004 წელს პორტუგალიელებმა ევროპის ჩემპიონატისთვის რომ გამოიყენეს — გვითხრა ლევან ცხოვრებაშვილმა, რომელიც ზესტაფონის სტადიონის მინდვრის სამუშაოებს ხელმძღვანელობს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დღედღეზე „ცენტრალურზე" ტრიბუნების რეკონსტრუქციაც დაიწყება. მართალია, იქაურები თასის ფინალში წაგებით გულგატეხილები არიან, მაგრამ ახალ სეზონში უფრო დიდი მიზნები გვექნებაო და, საქმესაც სერიოზულად ეკიდებიან. ტრიბუნები კი ზესტაფონურ სარბიელს ამიერიდან სამი მხრიდან ექნება — დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით.

ასე რომ, საქართველოს მალე ერთი კოხტა სტადიონიც შეემატება...

**ბაჩა ზალამბერიძე**

# პორტს პლუს ბიზნესმენები
## იქნება თექვსმეტი, იქნება პატრონიც...



ბადრი კეთილაძის ფოტო

ფოთის „კოლხეთმა" სეზონი საშინლად დაასრულა, უმაღლესი ლიგიდან ისტორიაში პირველად გავარდა და ახლა იმის იმედიღა დარჩენია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი უმაღლეს ლიგაში 16 გუნდს დაუშვებს.

მაგრამ, რა აზრი აქვს ისეთ უმაღლესლიგელობას, თუ კლუბს არავინ უპატრონებს? „კოლხეთის" მთავარ მწვრთნელ სერგო გაბელაიას გუნდში არსებულ მდგომარეობაზე ვკითხეთ.

— ჩვენი პრეზიდენტი, ფოთის პორტის თავკაცი თემურ მიმინოშვილი ამჟამად უცხოეთშია, მალე ჩამოვა და „კოლხეთის" მომავალს ნათელი მოეფინება. ალბათ, 70 პროცენტით გუნდს მაინც პორტი უპატრონებს, ქალაქის მერიაც დაგვეხმარება და იმედს გვაძლევენ, რომ ბიზნესმენებიც შეგვეშველებიან. კერძოდ რომელი ბიზნესსტრუქტურა მოგვხედავს, ეს ჯერჯერობით არ ვიცი".

არადა, როგორც იცით, ამ ცოტა ხნის წინ სახელმწიფო ორგანიზაციებს კლუბის დაფინანსება აეკრძალათ, სწორედ ამის გამო დარჩა „კოლხეთი" უფულოდ, მაგრამ: „ამ მხრივ შეთანხმების მიღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს, დიდი შანსია, პორტი ისევ გვერდში დაგვიდგეს" — გვითხრა გაბელაიამ.

მწვრთნელის თქმითვე, „კოლხეთიდან" ჯერ არცერთი ფეხბურთელი არ წასულა, ისინი სიტუაციის გარკვევას ელიანო. ეს ოფიციალურად, თორემ ფოთელებს რომ ამ ზაფხულს ბევრი მოთამაშე გამოაკლდებათ, ნაღდია.

**ილია ნანობაშვილი**

# გიორგი ნემსაძის საარჩევნო პროგრამა

***პროგრამა მოიცავს საქართველოში ფეხბურთის განვითარების ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას:***

1. ნაკრები გუნდები
2. ბავშვთა ფეხბურთი
3. ჩემპიონატი — კლუბები
4. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება
5. სამართლებივი ბაზის სრულყოფა

### 1. ეროვნული და სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდები

**მიზანი: საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების განვითარება**

განსახორციელებელი ღონისძიებები:

ყველა ეროვნული ნაკრები გუნდის ფუნქციონირება განხორციელებული იქნება ევროპულ დონეზე. ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან პრაქტიკულად ყველაფრით, რაც შედის ეროვნული ნაკრების ცნებაში. ეს შეეხება საწვრთნელ პროცესს, სპორტული ფორმით ეკიპირებას, სამედიცინო, სატრანსპორტო უზრუნველყოფას, პრემიალურ თანხებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებში გასვლისას.

### 2. ბავშვთა ფეხბურთი
### ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარება

**მიზანი: მოზარდთა მასობრივი ჩაბმა საფეხბურთო სექციებში. ქვეყნის ნაკრები და საკლუბო გუნდებისათვის რეზერვის მომზადება**

განსახორციელებელი ღონისძიებები:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზების უზრუნველყოფა
2. მწვრთნელთა კადრების მომზადება

**მიზანი: საფეხბურთო სკოლებში მომუშავე მწვრთნელთა პროფესიული დონის ამაღლება**

1. თანამედროვე მეთოდების დანერგვა.
2. ცოდნისა და ჩვევების სისტემატური განახლება
3. საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების საქმიანობა
4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზ-აღზრდის პროგრამებში ფეხბურთის ჩართვა
5. ეზოს (ქუჩის) ფეხბურთი
6. საჯარიმო სანქციები
7. ბავშვთა სავალდებულო სამედიცინო მეთვალყურეობისა და კონტროლის ერთიანი პროგრამის შემუშავება

### 3. საქართველოს ჩემპიონატი და მასში მონაწილე კლუბები

დარჩენილი 2 წელი არის საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების, ეროვნული სისტემის დანერგვის პერიოდი.

სისტემა მოწოდებულია გააუმჯობესოს ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობა კლუბებსა და სკოლებს შორის, გახადოს იგი უფრო გამჭვირვალე და სწრაფი ტემპებით მოხდეს ევროპულ ფეხბურთში ადაპტირება.

კლუბებს ამ საკითხებზე ჩვენ გავუწევთ მაქსიმალურ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ დახმარებას უეფა-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

### კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
### ჩემპიონატის სისტემის სრულყოფა
### მსაჯთა ანაზღაურება და მათი დანიშვნის პრინციპი

შევიმუშავებთ და დავამტკიცებთ წესდებას არბიტრთა აკადემიისთვის, სადაც მოემზადებიან ახალგაზრდა მსაჯები, რომლებიც შეცვლიან ვეტერანებს. მოვუწოდებთ საფეხბურთო კლუბებს, მსაჯებს, ინსპექტორებს, ახლადარჩეულ სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტების წევრებს, ერთად ვიბრძოლოთ გარიგებული მატჩების წინააღმდეგ. მომავალი საფეხბურთო სეზონიდან გათვალისწინებულია მსაჯთა ანაზღაურების გაზრდა. აგრეთვე, სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს მსაჯთა დანიშვნის მექანიზმი.

### რეგიონალური შეჯიბრების სრულყოფა
### ტელევიზიის აქტიური მონაწილეობა შიდა ჩემპიონატში

### 4. პროფესიული სრულყოფა

**მიზანი: მწვრთნელების, მსაჯების, კლუბების ადმინისტრაციის, სამედიცინო პერსონალისა და ფეხბურთში მოღვაწე სხვა პირთა კვალიფიკაციის ამაღლება და პერმანენტული სრულყოფა**

### 5. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

**მიზანი: პროექტის მიზანია იმ სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომელიც არეგულირებს საფეხბურთო საქმიანობას საქართველოში**

### 6. სამოყვარულო ფეხბურთის განვითარება

**მიზანი: მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა ფეხბურთში. ფეხბურთის დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში. მასობრივი შეჯიბრებებისა და ტურნირების ორგანიზება**

### 7. ფეხბურთელთა, მწვრთნელთა და სპეციალისტთა სოციალური დაცვა

**მიზანი: პროფესიონალ ფეხბურთელთა, მწვრთნელთა მსაჯთა და სპეციალისტთა სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა**

### 8. პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა

**მიზანი: პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სახსრების მიზნობრივად გამოყენება**

### 9. მასმედიასთან ურთიერთობა

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობას.

სფფ-ს მუშაობის სრული გამჭვირვალება, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი იქნება.

ფეხბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, მიიღონ ოპერატიული ინფორმაცია ფედერაციის ხელმძღვანელი თანამშრომლებისა და ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებისაგან.

სფფ-ს ნებისმიერი მასალა ხელმისაწვდომი იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩვენ მიერ დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ზომები.

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



დისკვალიფიკაციამოხდილი ადრიან მუტუ რუმინეთის ნაკრებშიც დაბრუნდა

## შეტევა შეტევის წილ
### რუმინეთი მუტუთი იმუქრება

**I ჯგუფი**

**ჰოლანდია — რუმინეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ლუსიუსი, ბულარუზი, ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ლანძაატი, ვან დერ ვაარტი, კუიტი, ვან ნისტელროი, რობენი (ან ვან პერსი)

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გიონიბ, კივუ, პ. სტოიკა, ფ. პეტრე, პანჩუ, დ. მუნტიანუ, მიტია, მუტუ, კ. ნიკულესკუ

**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)

**ამ ჯგუფის** მთავარი მატჩი როტერდამში გაიმართება. ცხრილის თავში მოქცეული ჰოლანდია სამი ქულით ჩამორჩენილ და მესამე ადგილზე მოკალათებულ რუმინეთს უმასპინძლებს. ვიქტორ პიცურკას გუნდს სამუნდიალო საგზურის დასაბევებლად ვან ბასტენის სამწყსოს დამარცხება ჰაერივით სჭირდება, რაც რუმინელთა კაპიტანმა კრისტიან კიკუმ კარგად უწყის და ალალად ამბობს, თუ ჰოლანდიას ვერ მოვუგეთ, გერმანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაზე ოცნებაც შეუძლებელი იქნებაო.

პიცურკამ კვლავ უხმო ნაკრებში ნაკოკაინარ და დისკვალიფიკაციამოხდილ ადრიან მუტუს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რუმინეთი როტერდამში მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებს. მუტუს სამატჩო განაცხადში გამოჩენამ ჰოლანდიელთა მწვრთნელ მარკო ვან ბასტენს სწორედ ის აფიქრებინა, რაც ზემოთ ვივარაუდეთ. აი, რას ამბობს „ნარინჯისფერთა“ მესაჭე: „რუმინელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, მათ საგერმანიოდ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, ამიტომაც შემოგვიტევენ. კარგად მახსოვს ჩვენი პირველი მატჩი ბუქარესტში. მართალია, მაშინ 2:0 მოვიგეთ, მაგრამ რუმინეთმა ძალიან კარგად ითამაშა. ახლა მათ ადრიან მუტუც დაემატებათ, რაც ერთიორად გაამწვავებს მათ იერიშებს“.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მარკო ვან ბასტენი სულაც არ აპირებს გუნდი დაცვითი ტაქტიკით ათამაშოს, პირიქით, სამი თავდამსხმელით ეშურება რუმინელთა მოსალოდნელი შეტევების შეჩერებას. ბოგდან ლობონტის კარის აოხრებას რომ დირკ კუიტი და რუუდ ვან ნისტელროი ეცდებიან, უკვე ყველას აუწყა ვან ბასტენმა, ხოლო ვინ იქნება მესამე ფორვარდი, არიენ რობენი თუ რობინ ვან პერსი, ჰოლანდიელთა მწვრთნელი დღეს გადაწყვეტს. „რობენი კარგ ფორმაშია, ვარჯიშებზე თავი მომაწონა, მაგრამ ბევრი გაუცდა. ვან პერსიმ კი ამ ბოლო ხანს ძალიან მოუმატა, მას ხშირად ენდობოდა არსენ ვენგერიც. თუმც ვინ დაიწყებს მატჩს, ჯერ ვერ გეტყვით, თამაშამდე მოვიფიქრებ“ — უთხრა მედიას ვან ბასტენმა.

ბოლოს კი ის ვთქვათ, რომ სარუმინეთოდ ვან ბასტენმა ნაკრებში ორ დებიუტანტს უხმო, ორივე ალკმაარელია და ორივე მცველი — 29 წლის ბარი ოპდამი და 20 წლის რონ ვლაარი. პირველს, სავარაუდოდ, სასტარტოში ვიხილავთ.

და ერთიც, კარგა ხნის შესვენების შემდეგ ვან ბასტენმა გუნდში დააბრუნა ნაიჯელ დე იონგი, თეო ლუსიუსი და ანდრე ოიერი.

**სოსო ძოტორეიშვილი**

**სომხეთი — მაკედონია**

**ჩეხეთი — ანდორა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| ჩეხეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| ფინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:10 | 9 |
| მაკედონია | 7 | 1 | 2 | 4 | 7:9 | 5 |
| სომხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:15 | 4 |
| ანდორა | 7 | 1 | 1 | 5 | 3:17 | 4 |

## ფიგუსთან ერთად

**III ჯგუფი**

**პორტუგალია — სლოვაკეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუგალია:** რიკარდუ, ალეშ კოშტა, ჟორჟე ანდრადე, ფ. მეირა, მ. კანეირა, პეტიტი, მანიშე, დეკო, ფიგუ, კ. რონალდო, პაულეტა

**სლოვაკეთი:** ჩენტოფალსკი, ვარგა, პეტრაში, ზაბავნიკი, ჰადი, ჰანეკი, ჰლინკა, კარჰანი, მინტალი, ნემეტი, რეიტერი

**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)



ლუიშ ფიგუ პორტუგალიელ გულშემატკივრებს ისევ გაახარებს

**ლუიშ ფიგუს** დაბრუნებამ ნაკრებში ოფიციალურად წასვლის შემდეგ გუნდს ახალი სული შთაბერა. ამ რამდენიმე დღეში პორტუგალიელები სლოვაკებსა და ესტონელებს უნდა ეთამაშონ.

„აქ იმიტომ ვარ, რომ ნაკრებს გამარჯვებაში დავეხმარო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პირველად გამომიძახეს ეროვნულ გუნდში“ — თქვა 32 წლის ფიგუმ, რომელსაც ევრო 2004-ის ფინალის შემდეგ არ უთამაშია ნაკრებში, სადაც 110 მატჩი აქვს ჩატარებული.

მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი კმაყოფილი შეხვდა ამ ამბავს.

პორტუგალია მესამე ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია 6 თამაშიდან 14 ქულით და ზუსტად ასეთი შედეგი აქვთ სლოვაკებსაც, რომლებსაც პორტუგალიელები დღეს მასპინძლობენ, ოთხი დღის თავზე კი ესტონელებს ხვდებიან ტალინში.

„სლოვაკეთი ღონიერი გუნდია, სახიფათო. ეს ორი თამაში ყველაფერს წყვეტს“ — თქვა სკოლარიმ. პორტუგალიის 26-კაციან გუნდს ხუთი კაცი ადრევე გამოაკლდა ტრავმებით: რიკარდუ კარვალიუ და მოგელი, ორი მთავარი მცველი ვერ ითამაშებენ. მათ ადგილებს ფერნანდუ მეირა და ალეშ კოშტა დაიჭერენ.

ნახევარმცველი კოშტინია კი დისკვალიფიცირებულია.

სლოვაკთა მწვრთნელი დუშან გალიჩი ამბობს, რომ თამაში მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ყველაფრის გადამწყვეტი: „ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ, რომ ღირსეული მეტოქე ვართ. პორტუგალიელებს მოგება სწყურიათ, მაგრამ ეს იოლი მატჩი არ იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

## სიომინი კედელთან



იური სიომინს მძიმე ხვედრი ერგო

**რუსეთი — ლატვია**

**რუსები** მოსკოვში ხვდებიან ლატვიელებს. რუსთა გუნდი მესამე ადგილზეა მესამე შესარჩევ ჯგუფში და სამი ქულით ჩამორჩება ლიდერებს, პორტუგალიასა და სლოვაკეთს. თავის მხრივ, ლატვია ქულით ჩამორჩება რუსებს.

„უკან დასახევი გზა აღარ არის“ — ამბობს რუსთა ახალი მწვრთნელი იური სიომინი პეტერბურგული მატჩის წინ.

ეს სიომინის პირველი სანაკრებო მატჩია, მას შემდეგ, რაც გეორგი იარცევი შეცვალა ამ პოსტზე. მან მყუდრო სამუშაო დატოვა მოსკოვის „ლოკომოტივში“ და ეროვნულ ნაკრებში მოვიდა.

იარცევის ხელში რუსებმა 1:7 წააგეს პორტუგალიელებთან და ეს მათი ყველაზე სამარცხვინო მატჩი იყო 1916 წლის შემდეგ. იარცევის დროს რუსეთმა ესტონელებსაც ვერ მოუგო.

„ამ თამაშების გახსენება არ მინდა“ — თქვა სიომინმა, რომელსაც დღეს არ ეყოლება ცსკა-ს კაპიტანი სერგეი იგნაშევიჩი და პეტერბურგელი მეკარე ვიაჩესლავ მალაფეევი. კარში კი, ალბათ, 19 წლის არმიელი იგორ აკინფეევი იდგება.

ლატვიელებს აკლიათ ალექსანდრს კოლინკო, რომელიც ყაზანის „რუბინში“ თამაშობს. საერთოდ კი მატჩი „პეტროვსკის“ 23-ათასიან სტადიონზე ორ ქვეყანას შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე ტარდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ესტონეთი — ლიხტენშტაინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 4 | 2 | 0 | 21:4 | 14 |
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:5 | 14 |
| რუსეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:10 | 11 |
| ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:12 | 10 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 4:28 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანლუიჯი ბუფონმა დაიჭირა, ნორვეგიელები ბურთს ვერ გამიტანენო

## იტალია ნესტას გარეშე იტალია არ არის

V ჯგუფი

**ნორვეგია — იტალია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნორვეგია:** მირე, ბერგდოლმო, ჰეგენი, ლუნდეკვამი, რიისე, ანდრესენი, ჰესტადი, სოლი, ივერსენი, მ. პედერსენი, კარეუ

**იტალია:** ბუფონი, ბონერა, ფ. კანავარო, მატერაცი, კიელინი, კამორანეზი, პირლო, დე როსი, ძამბროტა, ვიერი, კასანო

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ დღეს ნორვეგიის ნაკრების კარს იტალიელთაგან კრისტიან ვიერისთან ერთად ანტონიო კასანო შეუტევს. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობთ, რომ მიმიმხილველთა ნაწილი კასანოს სათადარიგოთა სკამზე დასმას ელოდა, თუმცა როგორც ირკვევა, მარჩელო ლიპის არჩევანი მაინც რომაელი იქნება. ისე, ოთხშაბათის ვარჯიშზე, ლიპის ვიერისა და ლუკა ტონის წყვილიც მოუსინჯავს, მაგრამ არ მოსწონებია, ხოლო ფრანჩესკო ტოტი მოგეხსენებათ, საერთოდ არ არის გამოძახებული. როგორც იცით, დაშავებულია ალბერტო ჯილარდინოც.

კოვერჩანოს ბაზაზე ხუთშაბათის ვარჯიშმა სადღეისო ძირითადის სხვა კონტურებიც გამოკვეთა. კერძოდ, კარში „იუვენტუსის“ მეკარე ჯიჯი ბუფონი იდგება, მის წინ კი მცველთა ასეთ ოთხეულს უნდა ველოდოთ: დანიელე ბონერა, მარკო მატერაცი, ფაბიო კანავარო და ჯორჯო კიელინი. რატომ მატერაცი და რამდენად გარანტირებული აქვს მას ადგილი ძირითადში? გარანტირებული აქვს, რადგან ალესანდრო ნესტას ოჯახური პრობლემების გამო უცდება ოსლოში მგზავრობა. რაც შეეხება კიელინის, იგი პალერმოელ ფაბიო გროსოს ამჯობინეს, ოღონდ რომ ვთქვათ, სიცილიელ თანაგუნდელთან კიელინის უპირატესობა თვალშისაცემად დიდია, არ ვიქნებით მართალი.

ნახევარდაცვაში ფლანგებზე ჯანლუკა ძამბროტა და მაურო კამორანეზი ირბენენ, ხოლო შუა სამუშაო ანდრეა პირლოსა და დანიელე დე როსის დააწვებათ. დე როსიზე ცალკე იმის თქმა შეგვიძლია, რომ მიუხედავად „რომაში“ გატარებული პრობლემური სეზონისა, ჯენარო გატუზოს დისკვალიფიკაციის პირობებში, შავი სამუშაო მაინც მას ექნება.

როგორც ცხრილიდან ხედავთ, იტალია ნორვეგიას ოთხი ქულით უსწრებს, რაზეც მარჩელო ლიპი ასე ამბობს:

„მართლაც კარგი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნორვეგიაში, ჯგუფის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან მოგვიწევს თამაში. ჩვენი ამოცანაა არ წავაგოთ და თუ შევძელით, მოვიგოთ კიდეც. მოკლედ, უპირველეს ყოვლისა თავი კარგად უნდა დავიცვათ და მატჩის სადავეები ხელთ ვიგდოთ, რასაც საუკეთესო თვისებების გამომჟღავნება სჭირდება.“

სხვათაშორის, იტალია ერთადერთი გუნდია, რომელმაც ნორვეგიას 2003 წლის ბოლოს ანუ ნაკრების სათავეში აგე ჰარეიდეს მისვლის შემდეგ მოუგო. ეს სექტემბერში მოხდა, მატჩის ანგარიში იყო 2:1.

„იტალია ნესტას გარეშე დასუსტებული იქნება — ამბობს ჰარეიდე — ჩემი აზრით, მისი და კანავაროს წყვილი მსოფლიოში საუკეთესოა, ახლა კი ამ წყვილიდან მოედანზე მხოლოდ ერთი იქნება.“

ნორვეგიელთაგან კი გამორჩევით შეგვიძლია „რომას“ ყოფილი მოთამაშის, იონ კარეუს გამოყოფა. კარეუ დღეს „ბეშიქთაშში“ თამაშობს და იტალიის ნაკრების კარში გოლების გატანით გამოირჩევა.

„მან ბოლო ორ თამაშში გამიტანა... იმედი მაქვს, რომ ამჯერად ეს აღარ მოხდება“ — ამბობს ბუფონი.

ჩვენც დაველოდოთ და ვნახოთ...

**პაპუნა ძიძია**

**ბელარუსი — სლოვენია**

**შოტლანდია — მოლდოვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| შოტლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | 2 |

IV ჯგუფი

**ირლანდია — ისრაელი**

**ფარერები — შვეიცარია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 10 |
| ისრაელი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:6 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 3 | 0 | 7:2 | 9 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

VI ჯგუფი

**აზერბაიჯანი — პოლონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 19:5 | 15 |
| ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 0 | 3 | 3 | 5:13 | 3 |
| უელსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:11 | 2 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:14 | 2 |

## არაგონესმა ლიტველები უშანსოდ დატოვა

VII ჯგუფი

**ესპანეთი — ლიტვა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ესპანეთი:** კასილიასი, სალგადო, პუიოლი, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, ხავი, ვისენტე, რაული, ფ. ტორესი

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, შკერლა, ჟუტაუტასი, ჯიაუკშტასი, ჟვირგჟდაუსკასი, ბარასა, დ. ჩესნაუსკისი, ე. ჩესნაუსკისი, მორინასი, დანილევიჩუსი, პოშკუსი

**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია)



ლუის არაგონესს შეგირდებისა და ესპანეთის გამარჯვების სჯერა

**ვალენსიაში** წასვლის წინ, სადაც ეს მატჩი გაიმართება, ლუის არაგონესმა, ესპანელთა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში ოპტიმისტურად განაცხადა: „ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ თამაში ფრედ, უარეს შემთხვევაში კი ჩვენი წაგებით დამთავრდეს“.

არაგონესს დღეს არ ეყოლება „ესპანიოლის“ ფორვარდი რაულ ტამუდო — კატალონიელმა მოიერიშემ ახლახან მუხლი იტკინა და მწვრთნელმაც მის მაგივრად ნაკრებში „სარაგოსას“ თავდამსხმელი დავიდ ვილა იხმო.

ძირითადში სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს ალბერტ ლუკე — ლუის არაგონესმა არჩევანი რაულ-ტორესის დუეტზე შეაჩერა, რასაც დეპორტივოელი ფორვარდი გაგებით მოეკიდა. მან თქვა: „ფერნანდო ტორესი და რაული ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. სწორედ ამიტომაც აირჩია ისინი ლუის არაგონესმა ძირითადში სათამაშოდ. დარწმუნებული ვარ, ლიტვასთან ორივე გოლს გაიტანს“.

ლიტვის ნაკრების მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი დისკვალიფიცირებულ მარიუს სტანკევიჩიუსს და დეივიდას შემბერასს მოისაკლისებს. ცხადია, ამათი არყოფნა ლიტვას დააზარალებს, მითუმეტეს, რომ ჩრდილოელთა ლიდერი ედგარას იანკაუსკასიც ვერ არის ჩვეულ ფორმაში — ფრანგულ „ნიცაში“ მოთამაშე ლიტველმა გიგანტმა ბოლო 21 მატჩში ერთი გოლიც ვერ შეაგდო, მის ნაცვლად იგორის მორინასი ითამაშებს, „ჟალგირისის“ ნახევარმცველი, რომლის ორი გატანილი ბურთის წყალობით ლიტვის ნაკრებმა წინა შაბათს მეზობელი ლატვია ბალტიის თასზე დამარცხა.

„ვიცი, რომ ესპანელებზე ძლიერები არ ვართ, მაგრამ ყველას გასაგონად ვაცხადებ — ლიტვას შესწევს ძალა, მეტოქე არასასიამოვნოდ გააკვირვოს“ — განაცხადა ლიუბინსკასმა, ბალტიისპირელთა მწვრთნელმა.

შეგახსენებთ, რომ ლიტვამ ერთხელ უკვე „გააკვირვა“ ესპანეთი: ამ გუნდების ვილნიუსური მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა.

**ლადო ხომერიკი**

## სტანკოვიჩს ბელგია გაუკვირდა



დეიან სტანკოვიჩს ბელგიელების არ ეშინია

**სერბეთი — ბელგია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სერბეთი:** ჟევრიჩი, ვიდიჩი, გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, კორომანი, დულიაი, დრაგუტინოვიჩი, სტანკოვიჩი, ვუკიჩი, ვუჩინიჩი, იესტროვიჩი

**ბელგია:** პროტო, დეშახტი, ვან ბუიტენი, ვანდენ ბორე, ბისკონტი, კლემანი, დაერდენი, ვანდერეგე, ბუფელი, მ. მპენზა, ე. მპენზა

**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**სერბებმა** პირველი წრის მატჩები ჩინებულად ჩაატარეს, რაშიც თავადაც დარწმუნდებით, ცხრილს თუ დახედავთ.

ილია პეტკოვიჩი და მისი გუნდი ამ ტრადიციის დარღვევას არ აპირებენ და ბრიუსელში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (2:0) იგივეს გაკეთებას ბელგრადშიც გეგმავენ. სტუმრები ამ შეხვედრას იოლად ნამდვილად არ დათმობენ, რადგანაც წაგება მათ გერმანიაში მოხვედრის შანსებს მინიმუმამდე დაიყვანს.

ილია პეტკოვიჩი: „ჩვენ კვლავ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. პირველი ხუთი მატჩის შემდეგ არაფრის შეცვლას არ ვაპირებ, რადგანაც ამ ტაქტიკით მშვენიერ შედეგებს მივაღწევთ. განწყობა ოპტიმისტურია, მაგრამ ბელგიელთათვის ეს ფაქტობრივად, ბოლო შანსია და ისინი 100 პროცენტით დაიხარჯებიან. თუმც ჩვენც საკმაო მოტივაცია გვაქვს“.

მასპინძლებს ამ შეხვედრაში ეგებ გორან გავრანჩიჩი დააკლდეთ, თუ ტრავმა ვერ მოიშუშა.

ემე ანტუნესის გუნდს კი გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს. ბელგიელთა კაპიტანი ბარტ გოორი, ვიცე-კაპიტანი ერიკ დეფლანდრე და გასულ სეზონში, ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე ვენსან კომპანი დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო ტიმი სიმონსს, რომელმაც კომპანის დარად ჩინებული წელი ჩაატარა, ტრავმა აქვს.

„ჩვეულებრივ, ფეხბურთელების არყოფნაზე განსაკუთრებულად არ ვნერვიულობ-ხოლმე, მაგრამ კომპანი და სიმონსი ფაქტობრივად, შეუცვლელები არიან. გოორისა და დეფლანდრეს არყოფნაში კაპიტანი ემილ მპენზა იქნება. იგი ყველაზე გამოცდილია. თუმც მინდა, მინდორზე 11 კაპიტანი ვიხილო. სხვაგვარად ამ მნიშვნელოვან მატჩში წარმატების მიღწევის შანსი არ გვაქვს. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და რთული სიტუაციიდან გამოვძვრეთ“ — აღნიშნა ანტუნესმა.

ბოლოს კი სერბთა კაპიტან დეიან სტანკოვიჩსაც მოვუსმინოთ: „ბოლო ორი თვის მანძილზე მხოლოდ ამ თამაშზე ვფიქრობდით. ბელგია ძლიერი გუნდია, მაგრამ მათი დამარცხება ბრიუსელში შევძელით და ეს ბელგრადში რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ, მიკვირს“.

**გიორგი ძაძამიძე**

**სან მარინო — ბოსნია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:0 | 11 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 9 |
| ლიტვა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:2 | 9 |
| ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბოსნია | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:20 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



ხრისტო სტოიჩკოვმა ბულგარეთის ნაკრებს ახალი სისხლი გადაუსხა

# ხრისტო შეცდომებზე სწავლობს
## ხალხს ახალგაზრდების სჯერა

VIII ჯგუფი

**ბულგარეთი — ხორვატია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბულგარეთი:** ივანკოვი, კიშიშევი, კირილოვი, სტოიანოვი, იანკოვი, გეორგიევი, ს. პეტროვი, იანევი, მ. პეტროვი, ლაზაროვი, ბერბატოვი

**ხორვატია:** ბუტინა, შიმიჩი, ტუდორი, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, სრნა, ნ. კოვაჩი, ბაბიჩი, კრანჩარი, პრსო, კლასნიჩი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

**მასპინძელთათვის** ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ხორვატებთან მატჩი ხრისტო სტოიჩკოვისთვის ფაქტობრივად, ბოლო შანსია მუნდიალის საგზურზე ჩასაბღაუჭებლად. თავის მხრივ, წაბორძიკების უფლება არა აქვთ პირველ ადგილზე მოკალათებულ ხორვატებსაც, რადგანაც შვედები მათ მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

„ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მატჩია. რთული იქნება, მაგრამ სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ, სხვა გზა არ გვაქვს. გასული სეზონი ჩემი ფეხბურთელებისთვის დამღლელი და მძიმე იყო, მაგრამ მაინც მზად ვართ. ძალიან მიხარია, რომ უკვე ბევრი ბილეთია გაყიდული და ქომაგების მხურვალე მხარდაჭერა გვექნება. ეს ნიშნავს, რომ ხალხს სჯერა ჩვენი ახალგაზრდა გუნდის და მათ იმედები არ უნდა გავუცრუოთ. შვედეთთან და უნგრეთთან დაშვებული შეცდომები კარგად შევისწავლეთ და იმედი მაქვს, ხორვატებთან მათ აღარ გავიმეორებთ" — თქვა 39 წლის სტოიჩკოვმა.

ბულგარელები მეტოქეს ტრავმირებული ვალერი ბოჟინოვისა და მარიან ხრისტოვის გარეშე ხვდებიან. სტოიჩკოვი კვლავ ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს, ხოლო ხორვატთა თავკაც ზლატკო კრანჩარს სრული შემადგენლობა ჰყავს.

„სოფიაში მოსაგებად ჩამოვედით. კატასტროფად არც ფრეს ჩავთვლით, მაგრამ ქულისთვის თამაში სწორი არ იქნება და ამას არც ვაპირებთ. ბულგარელთათვის ამ მატჩს ორმაგი მნიშვნელობა აქვს, რადგან გერმანიაში მოსახვედრად მათ ფაქტობრივად, დარჩენილი ხუთივე შეხვედრა უნდა მოიგონ. თუმცა ჩვენ საკუთარი გეგმები გვაქვს და წაგებაზე არც ვფიქრობთ, ამის უფლება არ გვაქვს. დამარცხების შემთხვევაში საქმეს ერთიორად გავირთულებთ" — განაცხადა კრანჩარმა.

მასპინძელთა წამყვანი ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი ირწმუნება, რომ გუნდში საბრძოლო განწყობაა. მისი თქმით, ბულგარელებს ხორვატებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეხვედრა ელით და თითოეული მოთამაშე გამარჯვების მოსაპოვებლად ყველაფერს გაიღებს.

იმედიანადაა ბულგარელთა გამოცდილი ნახევარმცველი მარტინ პეტროვიც: „კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, რადგანაც ნაკრებში თაობათა ცვლაა და ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გამოჩნდა, მაგრამ წარმატების მჯერა. თანაც ახლა ჩინებული მწვრთნელი გვყავს".

**გიორგი ქაქაბაძე**



ბულგარელთა ერთ-ერთი „ვეტერანი" დიმიტარ ბერბატოვიცაა

**ისლანდია — უნგრეთი**

**შვედეთი — მალტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 17:2 | 12 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ისლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:14 | 1 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:16 | 1 |

# ვალენსია კლუივერტს მალე წარადგენს



პატრიკ კლუივერტი

**ჰოლანდიელი** პატრიკ კლუივერტი ესპანურ პრიმერადივიზიონს ისევ დაუბრუნდა — „ბარსელონას" ყოფილი მოეირიშე უახლოესი სამი სეზონის განმავლობაში „ვალენსიაში" ითამაშებს. ესპანური „მარკას" ცნობით, კლუივერტი ახალ გუნდში „ნიუკასლიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩავიდა.

პატრიკ კლუივერტი 28 წლისაა. 1976 წლის 1 ივლისს ამსტერდამში დაიბადა და „ვალენსიამდე" „აიაქსში", „მილანში", „ბარსელონასა" და „ნიუკასლში" ეთამაშა.

ჰოლანდიელის ოფიციალური პრეზენტაცია 9 ივნისს იქნება.

**ლადო ხომერიკი**

# ნოველინოს ნოველა: ახალი რედაქცია აღარ იქნება





ვალტერ ნოველინოს „სამპდორიაში" ენდობიან

**„სამპდორიას"** ძალიან შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა და გენუელებს უფრო მეტად რომ გამართლებოდათ, ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც გამოჰკრავდნენ ხელს.

გუნდის ამ წარმატებას პირველ რიგში უკვე საკმაოდ გამოცდილ მწვრთნელ ვალტერ ნოველინოს აწერენ და სამართლიანადაც. ამიტომაცაა, „ნაპოლისა" და „პიაჩენცას" ყოფილ თავკაცს არაერთმა კლუბმა რომ დაადგა თვალი. როგორც ამბობენ, მათ შორის არიან „რომა" და „ლაციო". თუმცა, ნოველინოს თქმით, იგი არსად წასვლას არ აპირებს.

„გარკვეული შემოთავაზებები მქონდა, მათ შორის საკმად შეძლებული კლუბებისგანაც, მაგრამ დიდ გუნდში ვარ და მუშაობას აქ გავაგრძელებ. უკვე სამომავლო გეგმებიც გვაქვს, რომელთაც, იმედია, წარმატებით განვახორციელებთ" — აღნიშნა ნოველინომ.

ჟურნალისტებმა მას საინტერესო გეგმებზეც ჰკითხეს. გენუელთა თავკაცს კონკრეტული პასუხი არ გაუცია. მან ერთხელ კიდევ აქო რა ალვარო რეკობა, რომელმაც „ვენეციაში" საკმაოდ წარმატებით უმუშავია: „ირჩევანის საშუალება რომ მქონდეს, ალვარო რეკობას ვიყიდდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ალბათ აუხდენელი ოცნებაა".

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბოსმანი ეშლის დაუდგა





ეშლი კოული ჟან-მარკ ბოსმანივით მოიქცევა

**არა** ფეხბურთით, არამედ განთქმული სასამართლო პროცესით ცნობილმა ჟან-მარკ ბოსმანმა, რომელმაც 10 წლის წინათ რევოლუცია მოახდინა მსოფლიო ფეხბურთის სატრანსფერო პოლიტიკაში, განაცხადა, რომ მხარში ამოუდგება ეშლი კოულს.

კოული ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სასამართლოში გამოწვევას აპირებს, რახან უსამართლოდ მიაჩნია სასჯელი, რომელიც მას „ჩელსისთან" საიდუმლო მოლაპარაკებების გამო დაადეს და ამბობს, რომ ამ სასამართლო პროცესით ფეხბურთელებს „მონობისგან გამოიხსნის".

იმის გამო, რომ კოული თავისი კლუბის, „არსენალის" გვერდის ავლით ელაპარაკებოდა „ჩელსის", ცნობილი ქეი-პი-ის წესი დაირღვა და ფეხბურთელს ორი კვირის განმავლობაში 100 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

ამ ამბის შემტყობმა დიდმა რევოლუციონერმა ბოსმანმა კოულის ხმა მაშინვე მიაწვდინა: „მე ეშლის გვერდით მიგულეთ. მე რომ ბანკში ვმუშაობდე და სხვა ბანკში მინდოდეს გადასვლა, წავალ და დაველაპარაკები. ამას არავინ დაიშლის. რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ეს საქმე ფეხბურთში? თუკი ეშლის ჩემი სახალხო მხარდაჭერა დასჭირდება, მზად ვარ ლონდონში ჩავიდე და დავეხმარო".

**ირაკლი გამყრელიძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ინტრიგა და პარალელები
## გერმანიაში, ეკვადორზე გავლით

XIV ტური

ვენესუელა — ურუგვაი
ჩილე — ბოლივია
ეკვადორი — არგენტინა
კოლუმბია — პერუ
ბრაზილია — პარაგვაი

**შესარჩევი** ციკლის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს უკლებლივ ყველა გუნდი ინარჩუნებს, ხოლო გერმანიაში მოხვედრა ჯერ არც ერთ ნაკრებს არ გაუნაღდებია. მართალია, სასწაული უნდა მოხდეს, რომ არგენტინა და ბრაზილია მუნდიალს მიღმა დარჩნენ, მაგრამ მოვლენებისთვის წინ გასწრება მაინც არ ღირს. შესაბამისად, ამ ტურის ხუთივე მატჩს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირველ რიგში ეკვადორისა და არგენტინის შეხვედრა უნდა გამოვარჩიოთ. ცხრილის სათავეში მყარად გამაგრებული სტუმრები ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ფაქტობრივად, გაინაღდებენ გერმანიის საგზურს. თუმც, ეს რომ ძალიან ძნელი იქნება, თავად არგენტინელებსაც კარგად ესმით, რადგანაც ეკვადორიდან სამი ქულის წამოღებას იშვიათად თუ ახერხებს ვინმე.



ბრაზილიელთა კაპიტან კაფუს უგუნებობა, როგორც წესი, არ ეტყობა

საინტერესოა, რომ 2001 წლის აგვისტოში, მარსელო ბიელსას დამოძღვრილმა არგენტინელებმა სწორედ კიტოში გამარჯვებით გაინაღდეს 2002 წლის მუნდიალის საგზური. ამის შემდეგ კი ეკვადორელები საკუთარ კედლებში ვერავინ დაამარცხა. სამი წლის წინანდელი მიღწევის გამეორებას ხოსე პეკერმანიც გეგმავს, მაგრამ იგი არც სიფრთხილეს კარგავს და ფეხბურთელებს მაქსიმალური ყურადღებისკენ მოუწოდებს.

„სხვებთან შედარებით, უდავოდ კომფორტულ ვითარებაში ვართ, მაგრამ მოდუნება დაუშვებელია. კარგი იქნება, თუ მათემატიკურ გამოთვლებს არ დავიწყებთ და ცხრილზე დაუხედავადაც გამარჯვებაზე ვიფიქრებთ" — აღნიშნა პეკერმანმა.

საბრძოლო განწყობა აქვს ეკვადორელთა თავკაც ლუის სუარესსაც: „არგენტინის მხურვალე ქომაგი ვარ და ამჟამინდელი ნაკრებისადმიც დიდი სიმპათია მაქვს, მაგრამ იმედია, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება. გამარჯვებას ლამაზი და ძლიერი ფეხბურთის თამაშით უნდა მივაღწიოთ, როგორც ეს ბრაზილიასთან გავაკეთეთ. კარგი გუნდი გვყავს და მესამე ადგილს ნამდვილად ვიმსახურებთ".

დაძაბული და მნიშვნელოვანი მატჩი შედგება ვენესუელაში, სადაც ურუგვაი სტუმრობს. ეს გუნდები ბოლოს ერთმანეთს გასული წლის მარტში, ლეგენდარულ „სენტენარიოზე" შეხვდნენ. ეს მატჩი ვენესუელელთა სენსაციური და ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა — 3:0.

ეს ურუგვაელ ფეხბურთელებსაც კარგად ახსოვთ და ქომაგებსაც, რომლებიც თავიანთ გუნდს კატეგორიულად სთხოვენ ვენესუელელთა დამარცხებას. თუმც ურუგვაელებს საგარეო მატჩი 2001 წლის სექტემბრის შემდეგ არ მოუგიათ და ვინძლო, ამჯერადაც გაუჭირდეთ. ვთქვათ ისიც, რომ მასპინძლებს ორი წამყვანი ფორვარდი — რუბერტ მორანი და ხუან არანგო უბრუნდებათ, რომლებმაც ტრავმები მოიშუშეს.



ბრაზილიის ნაკრების ორი იმედი:
დაცვაში რობერტო კარლოსი (მარცხნივ), თავდასხმაში ადრიანო

ჩილე და ბოლივია კი თავიანთ ახალ მწვრთნელებს ერთმანეთში გამოცდიან. ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბოლიველთა ახლად გამომცხვარი თავკაცისთვის, რომელმაც ჩილეში



ყმაწვილი რობინიო პარაგვაელებთან მატჩს ძირითადში დაიწყებს

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ პოსტი სწორედ მის ამჟამინდელ გუნდთან მარცხის მერე დაკარგა. მასპინძელთა რიგებში კი ხუვენალ ოლმოსის დებიუტი შედგება, რომელიც თავის პირველივე მატჩში სამი ქულის მოპოვებას გეგმავს.

ნელსონ აკოსტა: „პირადად ჩემთვისაც და ზოგადადაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. ვფიქრობ, წინ დაძაბული და ემოციური დღე გველის".

მწვრთნელის დებიუტი შედგება პერუშიც. ქომაგთა ფავორიტმა ფრედი ტორნერომ ეროვნული ნაკრები რამდენიმე დღის წინ ჩაიბარა. რაც შეეხებათ კოლუმბიელებს, ისინი ამ შეხვედრაში მხოლოდ სამ ქულაზე ფიქრობენ. მასპინძლებს მიზნის მიღწევა გუნდის წამყვან მცველ ივან კორდობას გარეშე მოუწევთ — 28 წლის ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და სულ ცოტა, ერთი თვე ვერ ითამაშებს.

„საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ წარმატების დიდი შანსიც გვაქვს. მთავარია, მონდომებით და ყურადღებით ვითამაშოთ. ვფიქრობ, ფრე ჩვენთვის მშვენიერი შედეგი იქნება" — განაცხადა ფრედი ტორნერომ.

ბოლოს ტურის კიდევ ერთ გამორჩეულ მატჩზე ვთქვათ, რომელიც ხვალ გაიმართება. პორტუ ალეგრიში ბრაზილია პარაგვაის უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს რონალდო არ ეყოლებათ, რომელიც ივნისში ნაკრებისგან დაისვენებს. კარლოს ალბერტო პარეირა საკმაოდ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ადრიანოსა და რობინიოს შემტევი დუეტით აპირებს თამაშს, ხოლო რიკარდო ოლივეირა სათადარიგოთა სკამზე იქნება, მაგრამ ბრაზილიელთა თავკაცის თქმით, იგი ჩინებულ ფორმაშია და მინდორზე აუცილებლად გავა.

რონალდოს არყოფნა პარაგვაელთა ფორვარდ ხოსე კარდოსოს შანსს აძლევს, „კიჭას" ბომბარდირთა დავაში წამოეწიოს. კარდოზოს ამჟამად 7 გოლი აქვს გატანილი და რონალდოს ორით ჩამორჩება. ცხადია, პარაგვაელთათვის ფრეც ჩინებული შედეგი იქნება და ისინი ამას არც მალავენ.

კარლოს ალბერტო პარეირა: „პარაგვაი საკმაოდ დაბალანსებული და ძლიერი გუნდია, რომელიც ხშირად არ ერიდება 9-10 კაცით თავდაცვას და შეუძლია, ეს მთელი მატჩის განმავლობაში გააკეთოს. ამიტომ ძალიან ყურადღებით უნდა ვითამაშოთ, არც დაცვა მოვადუნოთ და სწორადაც შევუტიოთ"

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 13 | 8 | 4 | 1 | 24:12 | 28 |
| ბრაზილია | 13 | 6 | 6 | 1 | 21:12 | 24 |
| ეკვადორი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:15 | 20 |
| პარაგვაი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| ურუგვაი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:25 | 16 |
| კოლუმბია | 13 | 3 | 5 | 5 | 12:12 | 14 |
| პერუ | 13 | 3 | 5 | 5 | 15:16 | 14 |
| ჩილე | 13 | 3 | 5 | 5 | 12:14 | 14 |
| ვენესუელა | 13 | 4 | 2 | 7 | 14:20 | 14 |
| ბოლივია | 13 | 4 | 1 | 8 | 15:23 | 13 |

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

ბანფილდი (არგენტინა) 1:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)
გვადალახარა (მექსიკა) 4:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 2 | ბრაუნშვაიგი-არმინია(მ) | 1.1 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| 16:00 | 3 | ქემნიცი-ლიუბეკი | 2.2 | 3.8 | 2.4 | 1.39 | 1.14 | 1.47 |
| 16:00 | 4 | ჰერტა(მ)-ზტ.პაული | 2.05 | 3.4 | 2.9 | 1.27 | 1.2 | 1.56 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 11 | აალენი-ელვერსბერგი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |
| 16:30 | 12 | აუგსბურგი-რეგენსბურგი | 1.2 | 6.0 | 8.0 | 1.0 | 1.04 | 3.42 |
| 16:30 | 15 | მაინცი(მ)-ოფენბახი | 3.8 | 3.2 | 1.8 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 16:30 | 17 | ფულენდორფი-ჰოფენჰაიმი | 1.9 | 2.8 | 4.0 | 1.13 | 1.28 | 1.64 |

**იტალია. სერია B**

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 20 | პიაჩენცა-ჯენოა | 7.5 | 2.3 | 1.65 | 1.76 | 1.35 | 1.0 |
| 22:30 | 22 | ჩეზენა-ტერნანა | 1.3 | 3.7 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.42 |
| 22:30 | 24 | მოდენა-ტრევიზო | 1.65 | 2.9 | 5.7 | 1.05 | 1.27 | 1.92 |
| 22:30 | 25 | პერუჯა-ტრიესტინა | 1.55 | 2.8 | 6.5 | 1.0 | 1.25 | 1.95 |
| 22:30 | 26 | პესკარა-კროტონე | 2.05 | 2.8 | 3.5 | 1.18 | 1.29 | 1.55 |
| 22:30 | 27 | სალერნიტანა-ასკოლი | 2.1 | 2.6 | 3.8 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 22:30 | 28 | ტორინო-ალბინოლეფე | 1.15 | 4.6 | 9.0 | 1.0 | 1.01 | 3.04 |
| 22:30 | 30 | ვიჩენცა-ბარი | 1.4 | 2.9 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.05 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 35 | ტარაგონა-ალავესი | 3.6 | 2.8 | 2.0 | 1.57 | 1.28 | 1.16 |
| 21:30 | 37 | პონტევედრა-კადისი | 3.0 | 2.9 | 2.2 | 1.47 | 1.26 | 1.25 |

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 31 | ალმერია-სპორტინგი | 1.7 | 3.0 | 4.8 | 1.08 | 1.25 | 1.84 |
| 22:30 | 32 | სიუდადი-მალაგა ბ | 2.15 | 2.7 | 3.4 | 1.19 | 1.31 | 1.5 |
| 21:00 | 33 | ეიბარი-მურსია | 1.55 | 3.3 | 5.5 | 1.05 | 1.2 | 2.06 |
| 21:00 | 36 | ლეიდა-ელჩე | 3.2 | 2.9 | 2.2 | 1.52 | 1.3 | 1.25 |
| 22:00 | 39 | ტერასა-ფეროლი | 2.0 | 2.9 | 3.5 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 20:00 | 40 | ვალიადოლიდი-ეხიდო | 1.95 | 2.8 | 3.8 | 1.14 | 1.28 | 1.61 |
| 22:00 | 41 | სერესი-სელტა | 3.2 | 2.9 | 2.1 | 1.52 | 1.26 | 1.21 |

**დანია. I დივიზიონი**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 44 | დალუმი-ნესტვედი | 2.05 | 3.8 | 2.8 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 17:00 | 45 | ბრიონსჰოი-ვეილე | 2.65 | 3.6 | 2.2 | 1.52 | 1.2 | 1.36 |

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 46 | აკადემისკი-სკიოლდი | 2.05 | 3.8 | 2.8 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 15:00 | 47 | ბ 93-კელერუპი | 3.6 | 3.7 | 1.8 | 1.82 | 1.2 | 1.21 |
| 15:00 | 48 | იოლსტრუპ-სიონდერიისკე | 3.8 | 4.0 | 1.7 | 1.94 | 1.17 | 1.19 |
| 17:00 | 50 | კიოგე-ფრედერისია | 1.55 | 3.8 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.15 |
| 17:00 | 51 | ნიკიობინგი-ფრემადი | 2.4 | 3.7 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 53 | ალტა-ჰიოდი | 2.35 | 4.0 | 2.4 | 1.48 | 1.18 | 1.5 |
| 20:00 | 54 | ბრინი-სკეიდი | 1.35 | 5.0 | 6.0 | 1.06 | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 55 | ჰიონეფოსი-კონგსვინგერი | 2.0 | 3.8 | 3.0 | 1.31 | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 56 | ლოვ ჰამი-ფოლო | 2.0 | 3.8 | 3.0 | 1.31 | 1.2 | [illegible] |
| 20:00 | 57 | მოსი-სოგნდალი | 2.55 | 3.7 | 2.3 | 1.5 | 1.2 | 1.41 |
| 20:00 | 58 | პორს გრენლანდი-სანდეფიორდი | 3.1 | 4.0 | 1.9 | 1.74 | 1.17 | 1.28 |
| 20:00 | 60 | სტრიომსგოდსეტი-ტონსბერგი | 1.85 | 4.0 | 3.3 | 1.26 | 1.18 | 1.8 |

**შვედეთი**

**სუპერეტა**

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:10 | 67 | იოსტერსი-გაის | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.15 |

**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 68 | დეგერფორსი-ბოდენსი | 1.85 | 3.4 | 3.5 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 19:00 | 69 | ბრომაპოიკარნა-ფრიოლუნდა | 1.7 | 3.6 | 4.0 | 1.15 | 1.19 | [illegible] |
| 19:00 | 70 | ნორჩიოპინგი-მიალბი | 1.45 | 3.9 | 5.8 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 19:00 | 71 | ტრელებორგი-იორებრო | 1.8 | 3.6 | 3.8 | 1.2 | 1.22 | 1.83 |
| 19:00 | 72 | ვესბი-ლიუნგსკილე | 2.0 | 3.4 | 3.3 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 19:00 | 73 | ფალკენბერგი-ვესტეროსი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.52 |

**ფინეთი**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 76 | ჰიკ-ალიანსი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | [illegible] |
| 17:00 | 77 | კუოპიო-მარიეკამნი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 78 | კტპ-როვანიემი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |

**ირლანდია**

**5 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 80 | უოტერფორდი-ლონგფორდი | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |

**6 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 81 | კორკი-ჰერპსი | 1.3 | 4.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.75 |

**იაპონია**

**თასი**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10:00 | 86 | ჩერეძო-ნაგოია | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 10:00 | 87 | ტოკიო-კაშივა | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 10:00 | 88 | იჩიჰარა-ოიტა | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 10:00 | 89 | კაშიმა-შიმიცუ | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 10:00 | 90 | ომია-ურავა | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 10:00 | 91 | ჰიროსიმა-გამბა | 2.2 | 3.1 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 10:00 | 92 | კობე-ნიიგატა | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 13:00 | 93 | კავასაკი-ვერდი | 2.25 | 3.1 | 2.85 | 1.3 | 1.25 | 1.48 |

**აშშ**

**4 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 96 | სოლტ ლეიკი-დალასი | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 23:45 | 97 | ჩიკაგო-ჩივასი | 1.55 | 3.6 | 4.8 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 98 | ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 99 | ნიუ ინგლენდი-კანზასი | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| 23:45 | 100 | სან ხოსე-ვაშინგტონი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |

## მჩ. შესარჩევი მატჩები

### 4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 101 | რუსეთი-ლატვია | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 19:00 | 103 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 8.0 | 4.8 | 1.3 | 3.0 | 1.11 | 1.02 |
| 19:00 | 104 | ესტონეთი-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 105 | სომხეთი-მაკედონია | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 19:00 | 106 | ჩეხეთი-ანდორა | 1.01 | 12.0 | 35.0 | 1.0 | 1.0 | 8.93 |
| 19:00 | 107 | ბულგარეთი-ხორვატია | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:15 | 108 | შვედეთი-მალტა | 1.02 | 10.0 | 30.0 | 1.0 | 1.0 | 7.5 |
| 19:30 | 109 | ფარერები-შვეიცარია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |
| 20:15 | 110 | უკრაინა-ყაზახეთი | 1.05 | 10.0 | 25.0 | 1.0 | 1.0 | 7.14 |
| 21:00 | 111 | ბელარუსი-სლოვენია | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 112 | თურქეთი-საბერძნეთი | 2.0 | 3.0 | 3.6 | 1.2 | 1.28 | 1.63 |
| 22:05 | 113 | ისლანდია-უნგრეთი | 2.6 | 3.0 | 2.55 | 1.39 | 1.28 | 1.37 |
| 22:15 | 114 | სერბია-ბელგია | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 22:30 | 115 | ნორვეგია-იტალია | 3.5 | 3.1 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 22:30 | 116 | სან მარინო-ბოსნია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |
| 22:30 | 117 | ირლანდია-ისრაელი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:30 | 118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 22:30 | 119 | ალბანეთი-საქართველო | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:45 | 120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 23:30 | 121 | ესპანეთი-ლიტვა | 1.15 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.21 |
| 17:00 | 147 | ბოტსვანა-ტუნისი | 5.8 | 3.5 | 1.55 | 2.18 | 1.22 | 1.07 |
| 21:00 | 148 | კაპე ვერდე-სამხ. აფრიკა | 3.5 | 3.0 | 2.05 | 1.61 | 1.29 | 1.21 |
| 19:00 | 149 | ბენინი-კამერუნი | 6.5 | 3.7 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 23:45 | 150 | მაროკო-მალავი | 1.15 | 6.5 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.33 |
| 23:45 | 188 | ტრინიდადი-პანამა | 1.8 | 3.2 | 3.9 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 189 | გვატემალა-მექსიკა | 5.2 | 3.4 | 1.6 | 2.05 | 1.22 | 1.08 |
| 23:45 | 190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 191 | ვენესუელა-ურუგვაი | 2.65 | 3.1 | 2.5 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 192 | ჩილე-ბოლივია | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 193 | ეკვადორი-არგენტინა | 3.7 | 3.3 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 23:45 | 194 | კოლუმბია-პერუ | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |

### 5 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 151 | დრ კონგო-უგანდა | 1.55 | 3.5 | 5.8 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 22:00 | 152 | ეგვიპტე-სუდანი | 1.15 | 5.8 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.01 |
| 17:00 | 153 | ზიმბაბვე-გაბონი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 18:30 | 154 | ანგოლა-ალჟირი | 1.8 | 3.2 | 4.1 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 18:30 | 155 | კონგო-სენეგალი | 7.0 | 3.5 | 1.45 | 2.33 | 1.2 | 1.02 |
| 19:30 | 156 | ტოგო-ზამბია | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 21:00 | 157 | მალი-ლიბერია | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:30 | 158 | გვინეა-კენია | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:30 | 159 | რუანდა-ნიგერია | 7.0 | 4.0 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.0 |
| 23:00 | 195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |

## ამხანაგური მატჩები

### 4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 184 | ჩრდ.ირლანდია-გერმანია | 7.0 | 3.9 | 1.4 | 2.5 | 1.16 | 1.03 |

## ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

### 4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 122 | სომხეთი(21)-მაკედონია(21) | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 13:00 | 139 | რუსეთი(21)-ლატვია(21) | 1.25 | 4.8 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.06 |

## საფრანგეთი. თასი

### 4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 141 | ოსერი-სედანი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |

## პოლონეთი. თასი

### 6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 142 | ლეგია-გროცლინი | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:30 | 143 | ვისლა-ზაგლებე | 1.5 | 3.9 | 4.8 | 1.08 | 1.14 | 2.15 |

## ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.

### 5 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 346 | შვედეთი-დანია | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 22:00 | 347 | ინგლისი-ფინეთი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |

### 6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 349 | საფრანგეთი-იტალია | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

## იტალია. სერია C1. პლეი ოფი

### 5 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 206 | მანტოვა-ფროზინონე | 1.9 | 2.8 | 4.1 | 1.13 | 1.29 | 1.66 |
| 18:00 | 207 | პავია-გროსეტო | 2.05 | 2.5 | 4.1 | 1.12 | 1.36 | 1.55 |
| 18:00 | 208 | აველინო-რეჯინა | 1.85 | 2.7 | 4.7 | 1.09 | 1.32 | 1.71 |
| 18:00 | 209 | ნაპოლი-სამბენედეტეზე | 1.65 | 2.8 | 6.2 | 1.03 | 1.3 | 1.92 |

## იტალია. სერია C1. პლეი აუტი

### 5 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 210 | ნოვარა-კომო | 1.95 | 2.8 | 3.9 | 1.14 | 1.29 | 1.62 |
| 18:00 | 211 | ფ.ანდრია-ვიტორია | 2.05 | 2.6 | 3.9 | 1.14 | 1.34 | 1.55 |
| 18:00 | 212 | ფერმანა-კიეტი | 1.9 | 2.8 | 4.2 | 1.13 | 1.3 | 1.67 |
| 18:00 | 213 | სორა-ჯულიანოვა | 1.9 | 2.6 | 4.5 | 1.09 | 1.33 | 1.64 |

## ჩოგბურთი.ქალები Roland Garros

### 4 ივნისი

13:00 345 ენინი-პერსი ---------- 1.25 ---------- 3.0

## ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა.

### 4 ივნისი

19:00 324 პორტუგალია-ბრაზილია ---------- 3.6 ---------- 1.15

23:00 325 ვენესუელა-იაპონია ---------- 1.35 ---------- 2.8

## ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.

### 4 ივნისი

20:00 223 სლოვაკეთი-ესპანეთი ---------- 2.4 ---------- 1.45

## კრივი

### 4 ივნისი

23:45 703 კ. ცზიუ-რ. ხატონი ---------- 1.4 ---------- 22.0 ---------- 2.65



## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2.5-ზე ნაკლები - 2.5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12101 | რუსეთი-ლატვია | 1.9 | 1.7 |
| 12102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.7 | 1.9 |
| 12107 | ბულგარეთი-ხორვატია | 1.6 | 2.0 |
| 12111 | ბელარუსი-სლოვენია | 1.7 | 1.9 |
| 12112 | თურქეთი-საბერძნეთი | 1.6 | 2.0 |
| 12113 | ისლანდია-უნგრეთი | 1.7 | 1.9 |
| 12114 | სერბია-ბელგია | 1.7 | 1.9 |
| 12115 | ნორვეგია-იტალია | 1.6 | 2.0 |
| 12117 | ირლანდია-ისრაელი | 1.6 | 2.0 |
| 12118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.9 | 1.7 |
| 12120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.9 | 1.7 |
| 12188 | ტრინიდადი-პანამა | 1.7 | 1.9 |
| 12189 | გვატემალა-მექსიკა | 1.9 | 1.7 |
| 12190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.9 | 1.7 |
| 12191 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.7 | 1.9 |
| 12192 | ჩილე-ბოლივია | 1.8 | 1.85 |
| 12193 | ეკვადორი-არგენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12194 | კოლუმბია-პერუ | 1.7 | 1.9 |
| 12195 | ბრაზილია-პარაგვაი | 2.0 | 1.6 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14101 | რუსეთი-ლატვია | 1.15 | 2.6 |
| 14102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.3 | 2.5 |
| 14107 | ბულგარეთი-ხორვატია | 1.75 | 1.85 |
| 14111 | ბელარუსი-სლოვენია | 1.75 | 2.1 |
| 14112 | თურქეთი-საბერძნეთი | 1.7 | 2.2 |
| 14113 | ისლანდია-უნგრეთი | 1.9 | 1.9 |
| 14114 | სერბია-ბელგია | 1.45 | 2.4 |
| 14115 | ნორვეგია-იტალია | 2.1 | 1.75 |
| 14117 | ირლანდია-ისრაელი | 1.3 | 2.5 |
| 14118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.3 | 2.5 |
| 14120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.3 | 2.5 |
| 14188 | ტრინიდადი-პანამა | 1.6 | 2.3 |
| 14189 | გვატემალა-მექსიკა | 2.4 | 1.45 |
| 14190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.3 | 2.5 |
| 14191 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.9 | 1.9 |
| 14192 | ჩილე-ბოლივია | 1.3 | 2.5 |
| 14193 | ეკვადორი-არგენტინა | 2.3 | 1.55 |
| 14194 | კოლუმბია-პერუ | 1.45 | 2.4 |
| 14195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.06 | 2.9 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15101 რუსეთი-ლატვია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 შოტლანდია-მოლდოვა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15107 ბულგარეთი-ხორვატია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15111 ბელარუსი-სლოვენია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15112 თურქეთი-საბერძნეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15113 ისლანდია-უნგრეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15114 სერბია-ბელგია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15115 ნორვეგია-იტალია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15117 ირლანდია-ისრაელი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 ჰოლანდია-რუმინეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 პორტუგალია-სლოვაკეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15188 ტრინიდადი-პანამა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15189 გვატემალა-მექსიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15190 აშშ-კოსტა რიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15191 ვენესუელა-ურუგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15192 ჩილე-ბოლივია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15193 ეკვადორი-არგენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15194 კოლუმბია-პერუ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15195 ბრაზილია-პარაგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17101 | რუსეთი-ლატვია | 1.85 | [illegible] |
| 17102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ბულგარეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ბელარუსი-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17112 | თურქეთი-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ისლანდია-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | სერბია-ბელგია | 1.85 | [illegible] |
| 17115 | ნორვეგია-იტალია | 1.85 | [illegible] |
| 17117 | ირლანდია-ისრაელი | 1.85 | [illegible] |
| 17118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.85 | [illegible] |
| 17120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.85 | [illegible] |
| 17188 | ტრინიდადი-პანამა | 1.85 | [illegible] |
| 17189 | გვატემალა-მექსიკა | 1.85 | [illegible] |
| 17190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ჩილე-ბოლივია | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ეკვადორი-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17194 | კოლუმბია-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.85 | [illegible] |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13101 | რუსეთი-ლატვია | 1.9 | 1.7 |
| 13102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.9 | 1.7 |
| 13107 | ბულგარეთი-ხორვატია | 1.7 | 1.9 |
| 13111 | ბელარუსი-სლოვენია | 1.7 | 1.9 |
| 13112 | თურქეთი-საბერძნეთი | 1.7 | 1.9 |
| 13113 | ისლანდია-უნგრეთი | 1.7 | 1.9 |
| 13114 | სერბია-ბელგია | 1.7 | 1.9 |
| 13115 | ნორვეგია-იტალია | 1.7 | 1.9 |
| 13117 | ირლანდია-ისრაელი | 1.9 | 1.7 |
| 13118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.7 | [illegible] |
| 13120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.7 | [illegible] |
| 13188 | ტრინიდადი-პანამა | 1.7 | [illegible] |
| 13189 | გვატემალა-მექსიკა | 1.7 | [illegible] |
| 13190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.7 | [illegible] |
| 13191 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.7 | [illegible] |
| 13192 | ჩილე-ბოლივია | 1.7 | [illegible] |
| 13193 | ეკვადორი-არგენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13194 | კოლუმბია-პერუ | 1.7 | [illegible] |
| 13195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.7 | [illegible] |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11101 რუსეთი-ლატვია | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | [illegible] | [illegible] |
| 11102 შოტლანდია-მოლდოვა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.6 | 4.2 | 9.0 | 20.0 | [illegible] | [illegible] |
| 11107 ბულგარეთი-ხორვატია | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11111 ბელარუსი-სლოვენია | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11112 თურქეთი-საბერძნეთი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11113 ისლანდია-უნგრეთი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11114 სერბია-ბელგია | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11115 ნორვეგია-იტალია | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11117 ირლანდია-ისრაელი | 2.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11118 ჰოლანდია-რუმინეთი | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11120 პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11188 ტრინიდადი-პანამა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11189 გვატემალა-მექსიკა | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11190 აშშ-კოსტა რიკა | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11191 ვენესუელა-ურუგვაი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11192 ჩილე-ბოლივია | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11193 ეკვადორი-არგენტინა | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.3 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11194 კოლუმბია-პერუ | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11195 ბრაზილია-პარაგვაი | 1.6 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10101 რუსეთი-ლატვია | 1.6 | 2.4 | 6.0 | 1.0 | 1.26 | 1.71 |
| 10102 შოტლანდია-მოლდოვა | 1.8 | 2.3 | 5.6 | 1.0 | 1.36 | 1.63 |
| 10107 ბულგარეთი-ხორვატია | 2.8 | 2.0 | 3.4 | 1.16 | 1.53 | 1.25 |
| 10111 ბელარუსი-სლოვენია | 2.5 | 2.1 | 3.5 | 1.14 | 1.45 | 1.31 |
| 10112 თურქეთი-საბერძნეთი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 10113 ისლანდია-უნგრეთი | 3.1 | 2.0 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10114 სერბია-ბელგია | 2.05 | 2.1 | 5.1 | 1.03 | 1.46 | 1.48 |
| 10115 ნორვეგია-იტალია | 4.0 | 2.0 | 2.5 | 1.33 | 1.53 | 1.11 |
| 10117 ირლანდია-ისრაელი | 1.8 | 2.2 | 5.8 | 1.0 | 1.37 | 1.59 |
| 10118 ჰოლანდია-რუმინეთი | 1.7 | 2.4 | 6.5 | 1.0 | 1.34 | 1.75 |
| 10120 პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.65 | 2.5 | 6.0 | 1.0 | 1.29 | 1.76 |
| 10188 ტრინიდადი-პანამა | 2.2 | 2.0 | 4.4 | 1.04 | 1.46 | 1.37 |
| 10189 გვატემალა-მექსიკა | 4.8 | 2.1 | 2.0 | 1.46 | 1.41 | 1.02 |
| 10190 აშშ-კოსტა რიკა | 1.7 | 2.3 | 5.8 | 1.0 | 1.31 | 1.64 |
| 10191 ვენესუელა-ურუგვაი | 3.1 | 2.0 | 2.8 | 1.21 | 1.47 | 1.16 |
| 10192 ჩილე-ბოლივია | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10193 ეკვადორი-არგენტინა | 4.1 | 2.0 | 2.4 | 1.34 | 1.51 | 1.09 |
| 10194 კოლუმბია-პერუ | 2.05 | 2.1 | 4.8 | 1.03 | 1.43 | 1.46 |
| 10195 ბრაზილია-პარაგვაი | 1.5 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.89 |



რამაზ გოგობერიშვილმა კაფე „მსოფლიო სპორტისთვის" გადასაცემ მაისურას ავტოგრაფი დაურთო

# რამაზ მე-13

## გოგობერიშვილი ვარსკვლავებს კაფეში შეუერთდა

**რომელი** ვარსკვლავის მაისურა თუ სპორტული ატრიბუტი არ გინდა, რომ კაფე „მსოფლიო სპორტში" არ ნახო. აქვეა მარადონას მაისურა, იქით ალექსანდრე მეტრეველის ჩოგანი, მუჰამედ ალის ხელთათმანი და [illegible] არანაკლები, მაგრამ მაინც მიხეილ შუმახერის ბოლიდია გამოკიდებული. გუშინ ამ კაფე-გალერეას რამაზ გოგობერიშვილის 13-ნომრიანი მაისურა გადაეცა, რომელიც ხვალ საზეიმო ვითარებაში კედელზე გამოიკიდება.

გოგობერიშვილი ერთადერთი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელია, რომლის მაისურასაც „სპორტკაფეში" გამოფენენ. იქ გამოსაჩენ ადგილზეა დაკიდებული ჩვენი ნბა-ელების — ზაზა პაჩულიას, ნიკა ცქიტიშვილის, ვლადიმერ სტეფანიას მაისურები, ასევე მიხეილ ქორქიასა და სხვა ვეტერანი კალათბურთელების სპორტული სამოსი, თუმც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეს ეს პატივი არ ერგოთ.

გოგობერიშვილი წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. იგი პირველივე ეროვნული ჩემპიონატიდან რუსთავის „აზოტის" ღირსებას იცავდა და სამჯერ ჩემპიონობასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ქვემოქართლურ გუნდში ტიტულის მოგება ვერ მოახერხა.

რამაზმა საჩემპიონო ოცნება წლეულს, „სტუ-ჯეოსელში" აიხდინა და „სპორტკაფესაც" ამ გუნდის მაისურა გადასცა.

**ირაკლი პერტაია**

# კადეტებმა სამოსკოვო სამზადისი თელავში დაიწყეს



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

**საქართველოს** კადეტთა ნაკრებმა გუშინ თელავს მიაშურა [illegible]. ეს შეკრება მოსამზადებელი წვრთნაა მოსკოვში ამ თვის შუა რიცხვებში გასამართი ლხთ-ს ახალგაზრდული ოლიმპიადის წინ, რომელიც თავის მხრივ ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს.

ევროსაკვალიფიკაციომდე, რომელიც ივლისის ბოლოს ბულგარეთში გაიმართება, ჯერ შორია და ჩვენს კადეტებს ბევრი რამის სწავლა მოუწევთ. ამიტომაც გააგზავნეს ისინი თელავში, სადაც ერთი კვირა სასტუმროში იცხოვრებენ და ყოველდღიურად სამჯერადი ვარჯიშები ექნებათ.

„ნაკრები უკვე თელავშია, და წინასწარ შედგენილი გრაფიკით ვარჯიშობს — გვითხრა კადეტთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა — იქ დაახლოებით ათ ივნისამდე დავრჩებით და ისევ თბილისში დავბრუნდებით, სადაც მოსკოვში გამგზავრებამდე ორ სპარინგ-მატჩს გავმართავთ. 13 ივნისს „მაკაბის" შევხვდებით, 14-ში კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს და მოსკოვშიც წავალთ".

კადეტთა ნაკრებს შემადგენლობის მხრივ ერთი პრობლემა აქვს. კოკა ტომარაძეს სავიზო პრობლემები შეექმნა და შესაძლოა, ნაკრებს მოსკოვში ვერ გაჰყვეს. სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ლაშა დევიძე, ლევან შენგელია, დავით მაისურაძე, გიორგი ცერცვაძე, ტატო ჩაჩიბაია, კონსტანტინე ძიძიგური, ბექა წივწივაძე, კოკა ტომარაძე, გიორგი ცეკვავა და გუგა წერეთელი.

**ირაკლი პერტაია**

# საყვარელიძეს კენჭს უყრიან

## საფრანგეთში ამერიკელების საქმეს არჩევენ

*საცაა ევროპაში სეზონი დასრულდება და მასთან ერთად ქართველ ლეგიონერთა უმეტესობის კონტრაქტებსაც გაუვათ ყავლი. ახლა ჯერი სატრანსფერო აგენტებზეა, რომლებმაც ახალი გუნდები უნდა გამოუნახონ თავიანთ კლიენტებს. თუმც ზოგიერთი მხოლოდ მენეჯერთა იმედად არ არის და ასეთად შეიძლება დავით საყვარელიძე, ამ სეზონის ფრანგულ „შალონში" გამსრულებელი ახალგაზრდა ფორვარდი მივიჩნიოთ. მას ამ კლუბის დუბლიორებში საკმაოდ ბარაქიანი სტატისტიკა ჰქონდა და თუ ფრანგულ კალათბურთში ლეგიონერთა ლიმიტი არ შეიცვალა, საყვარელიძე „შალონის" ძირითად გუნდში დაიბევებს ადგილს. ის დღეს თბილისშია და ჩვენც სამომავლო გეგმებზე გავესაუბრეთ...*

— წამოსვლის წინ „შალონის" მთავარ მწვრთნელ გრეგ ბეუნოტის ველაპარაკე, რომელიც ჩემი ძირითად გუნდში აყვანის მომხრეა.

**— მერე შენ რას ფიქრობ, რჩები „შალონში"?**

— მე, რა თქმა უნდა, მინდა ამ გუნდში თამაში, მაგრამ ეს მხოლოდ მთავარი მწვრთნელის სურვილზე არ არის დამოკიდებული, ცოტა იღბალმაც უნდა წამაშველოს ხელი.

**— კერძოდ, რას გულისხმობ?**

— საქმე ისაა, რომ საფრანგეთში ახლა ერთი ამბავია ატეხილი სატრანსფერო ლიმიტის გაზრდასთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, ლიმიტის გაზრდა ხელს უნდა მაძლევდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ამერიკელ კალათბურთელებს ეხება. აქამდე ფრანგულ კლუბებს 6 ლეგიონერის ყოლის უფლება ჰქონდათ, რომელთაგან 2 ადგილი იყო ამერიკელებისთვის და 3 ევროპელებისთვის. ახლა ითხოვენ, რომ 4 უცხოელის ყოლის უფლება დაკანონდეს, რომელთა შევსებაც მთლიანად ამერიკელი მოთამაშეებით იქნება შესაძლებელი.

**— მერე ყველა ამერიკელს ხომ არ ჩამოიყვანს?**

— როგორც ვარაუდობენ, კლუბების უმრავლესობა მთლიანად ამერიკელებით შეავსებს ლეგიონერთა 6-კაციან ლიმიტს. შედარებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე გუნდები, რომელთაც რიგიან ფრანგ კალათბურთელებზე ხელი არ მიუწვდებათ, საშუალო გაქანების ამერიკელებს ჩამოიყვანენ, რომლებიც იმდენი არიან, მთელს საფრანგეთის გასწვდებიან.

**— როდის უნდა გადაწყდეს, შემოდის თუ არა ეს კანონი?**

— 13 ივნისს გადაწყდება, როცა საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციაში ამ საკითხს კენჭს უყრიან. გაიზარდოს თუ არა ლიმიტი, პირველ რიგში კლუბების გადასაწყვეტია და ეს ამბავიც უშუალოდ გუნდების შეთანხმების საფუძველზე მოგვარდება. კენჭისყრაში მწვრთნელები და კლუბის პრეზიდენტები მიიღებენ მონაწილეობას.

**— „შალონის" მწვრთნელი, როგორც თქვი, ცვლილებების წინააღმდეგია. რატომ?**

— შეძლებულ გუნდებს ხელს არ აძლევთ ლიმიტის გაზრდა, რადგან ამით სუსტებიც გამონახავენ ისეთ ამერიკელებს, რომლებიც წამყვან ფრანგ მოთამაშეებს კონკურენციას გაუწევენ. ესპანეთშიც უნდოდათ ამერიკელთა ლიმიტის გაზრდა, მაგრამ კლუბებმა გადაწყვიტეს მოაწყვეს და არა ამერიკელებზე, არამედ ევროპელებზე გაიზრდა ლიმიტი. ასე რომ, ახლა კლუბის შევსება ყველაზე იოლი ესპანეთშია.

**— თუ „შალონმა" არ დაგიტოვა ესპანეთში გადასვლას ხომ არ გეგმავ?**

— ამის სურვილი კი მაქვს, თუმც გამოვა თუ არა, არ ვიცი. ჩემი მენეჯერი რიდ სალივანი მეუბნება, ბუნდესლიგის ვარიანტები მაქვსო და მეც თანახმა ვარ. გერმანიაში გაცილებით მეტს მათამაშებენ. ყველაფერი ივნისის ბოლოს გადაწყდება.

**ირაკლი პერტაია**




დავით საყვარელიძე გერმანიაზე ფიქრობს




# მიწა!

## მაიამიმ ფინალის კონტურები დალანდა

—— 1 ივნისი ——

**აღმოსავლეთი**

მაიამი 3:2 დეტროიტი

**მაიამი 88:76 დეტროიტი**

**მაიამი:** ვეიდი (15), დ. ჯონსი (15), ე. ჯონსი (7), ჰეისლიმი (14 ქულა, 13 მოხსნა), ონილი (20); ბატლერი (12), მურნინგი (5), დულინგი, ლეიტნერი

**დეტროიტი:** ბილაფსი (19), ჰამილტონი (21), პრინსი (11), რ. ვოლესი (2), ბ. ვოლესი (9); ჰანტერი (5), მაკდაიესი (4), აროიო (4), კემპბელი (1), დიუპრე

**ამ** გაგანია ფინალობაში რამდენად დროული იყო მოხუცებულობას მიტანებული ლარი ბრაუნის მომავლის წინასწარმეტყველება, ამის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, „მაიამისთან" აღმოსავლეთის ფინალში მესამე მარცხის შემდეგ კი „დეტროიტ პისტონზის" 64 წლის თავკაცს დროებით რომ მოუწევს „კლივლენდში" ლებრონ ჯეიმსთან გადაბარგებაზე ფიქრის გაფანტვა და თავისი აწინდელი გუნდის შველაზე ტვინის ჭყლეტა, ეს კი ნაღდია.

„მაიამისთან" სერიაში ჩამორჩენის და შემდეგ 2:2 გათანაბრების შემდეგ ბრაუნის ხმაურიანმა გუნდმა უმნიშვნელოვანესი თამაში წააგო და ნბა-შიც თანდათან მომწიფებულმა აზრმა — ამერიკას ახალი ჩემპიონი ეყოლება — ღრმად გაიდგა მაცდური ფესვი საკალათბურთო ნიადაგში. 2:3 ჩამორჩენილთაგან ხომ, ჩვეულებრივ, უმრავლესობა ვერ იძვრენს თავს საბოლოო მარცხიდან. ნბა-ს ისტორიული ფურცლებიც ამას გვეუბნება — 2:2-ის შემდეგ მეხუთე მარცხის წამგები 10 გუნდიდან ერთი ან ორი თუ ახერხებს სერიის მოგებასო.

მაგრამ რა მოხდება ხვალ და მერე, ამის თაობაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ. ერთი კი ცხადია, შაბათს დეტროიტში ჩასულ „მაიამის" გვარიანად გაუჭირდება „პისტონზის" და ათასობით მისი გადარეული ქომაგის ერთად დამარცხება და საქმის დეტროიტშივე მოთავება.

რაც შეეხება მეხუთე შეხვედრას, აქ მოედნის ბატონი და ბურთის პატრონი სწორედ მასპინძელი „მაიამი" გახლდათ და ნათელი იყო, რომ სწორედ შაკი და კომპანია იმარჯვებდნენ. და ეს მაშინ, როცა მესამე მეოთხედში მთელი მაიამის გულის გასახეთქად დეტროიტელმა რაშიდ ვოლესმა იატაკზე დასცა გარლვკვაზე წასული დუეინ ვეიდი და „ჰითი" მთავარმექულის გარეშე დატოვა. შლეგი რაშიდის ეს ქმედება ყოველგვარი გასაჩივრების გარეშე შეირაცხა უკვე დამარცხებული და ამით დაბოღმილი კაცის ბინძურ თამაშად, რაკი ვეიდიც და სხვა მისიანებიც აშკარად ერთი თავით სჯობდნენ ჩემპიონებს და იმ მომენტისთვის, მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე, ზუსტად 20 ქულითაც უგებდნენ.

მაგრამ „დეტროიტი" ვერც ვოლესის ამ ნაბიჯმა იხსნა. მართალია, „პისტონზმა" ამის შემდეგ მიჯრით 6 ქულა ჩააგდო და მეოთხე მეოთხედში 10 ქულამდეც მიუახლოვდა „მაიამის", მაგრამ უვეიდო მასპინძლებმა მეორეხარისხოვანი მოთამაშეების — დეიმონ ჯონსონისა და რაშუალ ბატლერის მეცადინეობით ამაზე ახლოს აღარ გაიკარეს ჩემპიონები. „დეტროიტი" წაგებული იყო და ვოლესს რიგრიგობით რომ დაელეწა მეტოქეთა რჩეული მოთამაშეები, ალბათ მაშინაც ვერ წაართმევდა გამარჯვებას „მაიამის", რომელიც არსებობის ხანმოკლე ისტორიაში სულ მეორედ თამაშობს ასეთ სიმაღლეზე. „ჰითი" აქამდე მხოლოდ ერთხელ გაძვრა აღმოსავლეთის ფინალში — ეს მოხდა 1997 წელს და მაშინაც ის ისეთ მეტოქეს შეეჩეხა, ვის წინააღმდეგ პლეი ოფში თამაშიც კი ბევრს პატივად მიაჩნდა. სხვა ვისზე მოგახსენებთ, თუ არა მაიკლ ჯორდანზე და მის „ჩიკაგოზე", „დეტროიტი" კი მართალია ჩემპიონია, მაგრამ იმ „ჩიკაგოსავით" ხელშეუბედავ მონაქრად ვერ ჩანს, და „მაიამიმაც" დიდი ფინალის კონტურები ამ გამარჯვების შემდეგ უფრო მკაფიოდ დალანდა, ვიდრე 1997 წელს.

**კოტე ყორშია**






# როლან გაროსი 2005

## მემარცხენეთა მემარჯვენეობა

### ფინალში ესპანურენოვანი ცაციები იპაექრებენ



რაფაელ ნადალი

AFP ბარი ბილან

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**რაფაელ ნადალი** (4, ესპანეთი) — **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) 6:3 4:6 6:4 6:3; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (12, რუსეთი) 6:3 5:7 2:6 6:4 6:4

**როცა** როლანგაროსულ სანახაობაში გუშინ ნაშუადღევს კარისპირულის წვიმამ წამოასწრო, საქმეში ჩახედულ მოლეთის ჩოვნები შეაკურმა — არ ყველა სულმოუთქმელად ელოდა, რაც შეიძლება მალე გასრულებულიყო ნიკოლაი დავიდენკოსა და მარიანო პუერტას სანახევარფინალო შეხლა, რათა შემდეგ ამქრის ზეგარდმო პირველისნისა და ფასკუნჯი თინეიჯერის აგრერიგად ნანატრი დაპირისპირება ეხილა. საბედნიეროდ, პარიზულმა ღრუბლიონმა მაინცდამაინც არ გაიმეტა, თუმცა პუერტამ და დავიდენკომ მთელი ხუთსეტიანი განდაგანა მაინც გამოაცხვეს და საჩოგნეთიც ბოლო მომენტამდე ეჭვობდა, დასცალდებოდა თუ არა როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის მატჩის ხილვა გუშსაღამოვე.

ნიკოლაი დავიდენკო რიგიანი მეჩოგნეა და გადამწყვეტ მომენტებში მეტოქეს უფრო ჯიგრიანად და ძალუმად რომ მისწოლოდა, ეგებ კარიერის პირველ სლემფინალსაც გამორჩენოდა. მაგრამ ამ ორი თითქმის თანაბარძალოვანი მოთამაშის აწონ-დაიწონა სწორედ უფრო ბოლომდე გამძლეობმა და ჯიგრიანმა არგენტინელმა მოიგო. თანაც პუერტას მეტოქესთან შედარებით ერთი მცირედი უპირატესობაც ჰქონდა. რაკილა შარშანწინდელი დოპინგსკანდალის გამო ცხრა თვის განმავლობაში ნაუქმევმა და რეიტინგსიის 440-ე ადგილამდე ჩაქვეითებულმა ამქარში კაცურად მობრუნება და პირველსავე როლანგაროსობაზე ნახევარფინალში გაღწევა შეძლო, მას იმის აუტანელი რწმენაც გაუჩნდა, რომ მას ვერც ამ ეტაპზე გააჩერებდნენ. ჰოდა, ვერც გააჩერეს და 26 წლის აქამდე ოდენ დოპინგსკანდალით გამორჩეული შავტუხა სამხრეთამერიკელი ხვალ ფინალში თავის ენაზე მოსაუბრე და მასსავით ცაცია უნიჭიერეს და ულონიერეს ყმაწვილს შეხვდება.

ამ უნიჭიერეს და ულონიერეს ყმაწვილს კი გუშინ დაბადებიდან 19 წელი შეუსრულდა და ეს მშვენიერი ამბავი უზღაპრულესი გამარჯვებით მოიგვირისტა...

ამდენი შეცდომის დამშვები, მატჩის მსვლელობისას თავის თავზე ასე ხშირად მიმართ[illegible]ზე და სა[illegible] [illegible]ზანებული როჯერ ფედერერი [illegible] რითლაც იშვიათად [illegible] [illegible] დან ის თითქოს გაუ[illegible] და პირველ სეტში ნადალის [illegible] წმინდად გადაუარა. მეორე [illegible] როჯერი მისთვის [illegible] რებულობითა და სიმ[illegible] შდა, ბაღესიანაც [illegible] მხოლოდ [illegible] [illegible] ყურებულს ისეთი [illegible] უქნა, რომ მატჩის [illegible] შეცვლოდა. აი, მერე კი [illegible] დიმებს უხშირა, [illegible] როებს ხან კორტის [illegible] ხანაც ბადეს ვერ [illegible] რავმა ნადალმა კი [illegible] შანსი მოეცემოდა, პირველობის წილ კორტს უხსნიდა, უმდაბლ[illegible] ცვეთებით აიხრებდა. ხანდა, რომ ფედერერს აშკარად [illegible] მისგან [illegible] ბურთის თითქოს [illegible] არ აიხსლეჩდა. თიხნის [illegible] ესპანელი მეჩოგნე კი, [illegible] ხუთი თიხნარტურნირი [illegible] მარცხის წილ 36 გამარჯვება [illegible] ტურნირის ისედაც მთავარ[illegible] ხვდებოდა და პარიზში [illegible] ცემული [illegible] მარტოდ მხოლოდ მარტო[illegible] რტას ძლევადი რჩება. თუკი ის [illegible] მოიხერხებს, მატჩს [illegible] წლის შემდეგ ამის [illegible] ზე ნორჩი [illegible] დავაჯიწყდებთ, რომ როლანგაროსობაზე ეს ფანტასტიკური [illegible] მხოლოდ პირველად გამოდის.

სხვათრივ იმასაც [illegible], რომ ფედერერის მარცხი ზოგადად [illegible] დაუმარცხებლობასაც [illegible] — კაცს წლეულს უკვე [illegible] დაუგროვებია, 48 შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ (ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მარატ საფინისგან, მონტეკარლოურ [illegible] დფინალში კი რიშარ გასკესგან) [illegible] ულა და რა გასაკვირია, თავის პირველ როლანგაროსულ ნახევარფინალშიც — და დიდი მუზარადის ეს ტურნირი კვლავაც ერთადერთია, მას ჩოგანს რომ არ ემორჩილება — [illegible] ვე რომ წაფორხილებულიყო. თავად ნადალს კი ის უკვე მესამედ [illegible] ბოდა და თუ გახსოვთ, წინა ორჯერ ისინი მაიამობაზე დაეტაკნენ — [illegible] რშან ნადალმა იმარჯვა, წლეულს კი ფედერერმა. იქნება, ამათი სარბიელი შეხლებით კიდევ არა ერთხელ [illegible] ამოვნებთ.





შარშანდელი საკლუბო თასი რუსმა ტამერლან ტმენოვმა წაიღო



ზურაბ ზვიადაური და ნუნო დელგადო შარშან თანაგუნდელები იყვნენ

# ევროდებიუტი

## საგარეჯო საშემოდგომოს უმიზნებს

ევროკუბოკ[illegible]

[illegible] საბერძნეთის ნაკრების სახელით მოჭიდავე წევრებიდან — რუსლან [illegible] (ცილიოლისი, 60 კგ) და ჯარჯი ზვიადაური (ილიას [illegible], 81 კგ) [illegible], მძიმე წონაში კი გუნდი უზბეკი [illegible] აბდულა [illegible] გადმოიბირა და ევროსამზადისიც დაიწყო.

„საგარეჯო" [illegible] ათიოდე დღის წინ შეიკრიბა და თბილისში ივარჯიშა. გუნდის [illegible] არ იყო ჯარჯი ზვიადაური, რომელიც ტრავმის [illegible] შემდეგ [illegible] პროცესს საბერძნეთში გადიოდა. შესაბამისად, პირველ წრეში მისი ჭიდაობა საეჭვო [illegible] ზურაბ [illegible] დღეს „საგარეჯოს" [illegible] „აბენსბერგს" [illegible] კონტრაქტი 2005 წლის ბოლომდე აკავშირებს, [illegible] ქართულ [illegible] მოხსნა, ზვიადაურის [illegible] თავი შეიკავეს [illegible] ჩვენს წინააღმდეგ [illegible] და თუ მოვუგებთ, [illegible].

ქართული გუნდი გერმანიაში [illegible] ნაკრები და აბენსბერგში, [illegible] სასტუმროში დაბინავდა. იმავე დღეს გუნდს [illegible] და საბერძნეთის ნაკრების [illegible] ილიადისიც შეუერთდნენ და გუშინ ხაბარელმა სასიამოვნო ინფორმაცია გვახარა:

— ჯარჯიმ უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშა და იგი „აბენსბერგთან" აუცილებლად დაგვეხმარება. ამჟამად 88 კილოს იწონის და, შესაბამისად, 90 კილოგრამში დავაყენებ. როგორც იცით, თავიდანვე ასე მსურდა. ზურაბ ზვიადაურს ხომ გერმანულ კლუბთან ისედაც ვერ ვიყენებთ.

...გერმანიაში ჩამოსვლის დღიდან დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგადაა, ტრავმა არავის აწუხებს. „აბენსბერგის" ძლევის შემთხვევაში დღესვე მეორე წრის შეხვედრაში თურქულ „იზმირსა" და ფრანგულ „რასინგს" შორის გამარჯვებულს ვხვდებით და იქ უკვე ზურაბ ზვიადაურიც დაგვეხმარება.

...დებულების თანახმად, მეორე წრეში გასავლელად ჩვენი და „აბენსბერგის" შვიდ-შვიდი ძიუდოისტი ორ-ორჯერ უნდა შეხვდეს ერთმანეთს. მწვრთნელს შეუძლია ერთ წონაში ორი კაცი გამოცვალოს. წინასწარ ვერ გეტყვით, როგორ მოვიქცევი, მაგრამ პირველი შვიდეული უკვე დაყენებული მყავს და გაგიმხელთ კიდეც. „აბენსბერგთან" შეხვედრას ნესტორ ხერგიანი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ), ჯარჯი ზვიადაური (90 კგ), ივერი ჯიქურაული (100 კგ) და აბდულა ტანგრიევი (+100კგ) დაიწყებენ.

...მეტოქის შემადგენლობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვიცი, რომ უძლიერესი ძიუდოისტები ჰყავთ, ისეთები, როგორებიც არიან ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი (60 კგ), ესპანელი ოსკარ პენასი (66 კგ), პორტუგალიელები — ჟოაო პინა (73 კგ) და ნუნო დელგადო (81 კგ), ესტონელები — ალექსეი ბუდოლინი (81 კგ) და ინდრიკ პერტელსონი (+100 კგ), ამერიკელი ჯიმი პედრო (73 კგ), ებრაელი არიელ ზეევი (100 კგ) და სხვები. ჩემთვის ძნელი სავარაუდოა, ჩვენთან რომელ წონაში ვის დააყენებენ. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ ზეევი არ დაგვიპირისპირდება.

საუბრის დასასრულს შოთა ხაბარელმა თბილისური წინასაბრძოლო ატმოსფეროს შესახებ გვკითხა, ხალხი რას ლაპარაკობს, თუ ვახსოვართო. რა თქმა უნდა, შევაგულიანეთ და გვარიანად დამმუხტველი პასუხიც მივიღეთ. გუნდი მზადაა გამარჯვებისთვის, რადგან საქართველოს სჭირდებაო — გვითხრა „საგარეჯოს" თავკაცმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

იავანა ნევა (რუსეთი)
თეკეკოი ბელდე (თურქეთი)
რაინკა პინცგაუ (ავსტრია)
ორლეანი (საფრანგეთი)
სტამბოლი (თურქეთი)
ლავალი (საფრანგეთი)
კორტეილო (შვეიცარია)
ნაიმეგენი (ჰოლანდია)
კენამიუ (ჰოლანდია)
მეისონ ალფორდი (საფრანგეთი)
დუქროვნიკი (ხორვატია)
სამქო 70 (რუსეთი)
აბენსბერგი (გერმანია)
საგარეჯო (საქართველო)
იზმირი (თურქეთი)
რასანგი (საფრანგეთი)



ზვიადაური და „აბენსბერგის" პრეზიდენტი ოტო კნეითინგერი



„აბენსბერგი" შარშანდელი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ

რაგბი

# რა დრო მოვიდა, „დათვებს" ვჭამაგოგთ

**დღეს** 4 ივნისია, ერთა თასის კალენდარული დღე, თუმცა 6 გუნდიდან მხოლოდ 2 თამაშობს. რუსეთი პორტუგალიას მიიღებს და, რაც გინდა თქვი, სატურნირო თვალსაზრისით ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების გამარჯვება ხელს გვაძლევს — გვინდა, არ გვინდა ხვალ „დათვებს" უნდა წავუქომაგოთ.

კიდევ ერთი ჩვენი მეტოქე, რუმინეთის ნაკრები, ბუქარესტში შოტლანდიას მიიღებს. ტესტ-მატჩი ფრიად თვალსაჩინო იქნებაო, ვერავინ შეგვპირდება, თუმცა კი მთლად ურიგო სანახავიც არ უნდა გამოდგეს. შოტლანდიის ნაკრები, რომელიც ამ ბოლო დროს 6 ერის გათამაშებაში ნაკლებად ჩაუქობს და მხოლოდ იტალიას თუ მოუგებს ხოლმე, ალბათ მაინც ფავორიტად ითვლება.

ჯერ ერთი, რუმინელებს ბოლო დროს საქმეები ცუდად მისდით. ტოკიოს ტურნირზე იაპონიასთანაც წააგეს და აშშ-სთანაც, იაპონიას კი ნოემბრის ტესტ-მატჩებში შოტლანდიამ რა დღეც აყარა, ალბათ გახსოვთ.

ამას გარდა რუმინელებს ტრავმებმაც დარია ხელი. ტოფანი, ტატუ, მერსუ და ბაგეგი ლაზარეთში არიან, ზოგიერთი „მუხის ფოთოლი" კი მოუცლელადაა, საფრანგეთში ნახევარფინალებია გახურებული და შემოუთვალიათ, დაგვეხსენითო.

მეორეს მხრივ, ოპტიმალურიაო არც კელტთა ნაკრებზე ითქმის. გუნდის რამდენიმე წევრი „ლომთა" ბანაკში ჰყავთ მიხმობილი.

შოტლანდიამ გასულ კვირას „ლომების" გარეშეც დაამარცხა „ბარბაროსები" 38:7 და სავარაუდოდ, არც რუმინეთთან შეირცხვენს თავს.

თავად რუმინულ-შოტლანდიური ჯახი კი ისტორიას ცხრა ახსოვს. აქედან შვიდჯერ „სქოთებმა" იყოჩაღეს, ორჯერ კი „მუხის ფოთლებმა".

**ლადო ფულუკიძე**

ალპინიზმი

# ქორწინება დედამიწის კენწეროზე



**მთამსვლელმა** რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (ევერესტი, საგარმატხა — 8848) თავი გამოიჩინოს და მის დალაშქრათა ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიკავოს, უბრალოდ იქ ასვლა, კარგა ხანია, რაც საკმარისი აღარაა. ამიტომ ერთნი ცდილობენ დედამიწის კენწეროზე რაც შეიძლება ბევრჯერ ავიდნენ და ამ საქმეში გახდნენ რეკორდსმენები, მეორენი საკუთარ აქტივს მასზე სხვადასხვა მარშრუტების კოლექციით ივსებენ, მესამენი სამყაროს სახურავზე არბენა-ჩამორბენაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ზოგიც იქ ყოფნის ხარგრძლივობის რეკორდს უტევს...

ერთი სიტყვით, რომ გეგონა, მთამსვლელებმა ფანტაზია ამოწურესო, გამოჩნდა ორი ნეპალელ, ბატონი პემბ. დორჯი შერპა და ქალბატონი მონი მულეპატი რომლებიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ავიდნენ და იქ... იქორწინეს. ამ ამბის მოწმე იყო მათივე თანამემამულე, კამი შერპა, რომელიც ნეფე-პატარძალთან ერთად ავიდა დედამიწის კენწეროზე და იქ ალბათ ხელისმომკის მოვალეობაც შეასრულა.

ეს მოხდა 30 მაისს, გუშინ კი ისინი ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში დაბრუნდნენ, სადაც ზარზეიმით შეეგებნენ.

ისიც საინტერესოა, რომ მონი პულეპატი აღმოჩნდა მეხუთე ნეპალელი და პირველი არაშერპა ქალი, რომელმაც ჯომოლუნგმიდან გადმოიხედა.

**ავთანდილ ბუციშელი**

# გალაჰერის ჯგუფური სულისკვეთება

**სპორტული** ტელეარხის SKY SPORTS-ის ვარსკვლავი კირსტი გალაჰერი თავის ბოიფრენდთან ინგლისის მორაგბეთა ნაკრების წევრთან 29 წლის პოლ სემპსონთან ურთიერთობით დაიღალა.

კირსტი და პოლი დასავლეთით ლონდონში ცხოვრობენ. ერთ ჭერს ისინი უკვე ოთხი წელიწადია იყოფენ, მაგრამ გალაჰერი ეტყობა, ასეთი ერთფეროვანი ურთიერთობისგან დაიღალა და ახლახან იგი მძლეოსან ფილიპ ოლივერის საზოგადოებაში შენიშნეს.

24 წლის ოლივერი სპორტში განსაკუთრებული მიღწევებით თავს ვერ მოიწონებს, რასაც გადაჭარბებით ინაზღაურებს ამურულ ფრონტზე.

ოღონდაც, გაურკვეველია, ხელს რა არ აძლევს გალაჰერს. შესაძლოა, სპორტული ტელეარხის ვარსკვლავი უბრალოდ მისტირის იმ მხიარულ დროებას, რომელსაც იგი ინგლისის „ლივერპულისა" და „ასტონ ვილას" ყოფილ ფორვარდსტენ კოლიმორთან ურთიერთობაში ატარებდა.

ამას წინათ კოლიმორმა აღიარა, რომ მას სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა კირსტი გალაჰერთან. ამასთან, კოლიმორმა უბრალოდ ღამე კი არ გაატარა კრისტისთან, არამედ მასთან ერთად სარეცელი გაიზიარა ტელევარსკვლავის მეგობართან ერთად.



კოლიმორის თქმით, მან კირსტი გაიცნო ლონდონის ღამის კლუბ „TEN ROOMS"-ში. ტელეწამყვანი კლუბში დაქალთან ერთად იყო. ორივენი გვარიანად შეზარხოშებულიიყვნენ. ფეხბურთელმა გადაწყვიტა, მათ სიმთვრალეში არ ჩამორჩენოდა და მანაც მოიყუდა...

ამის მერე, კოლიმორის თქმით, შექეიფიანებულმა დაქალებმა მის მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს. ეს საქმე იმით დასრულდა, რომ მთვრალი სამეული კირსტის სახლისკენ გაემართა, სადაც ჯგუფური ორგია გაჩაღა.

ჭადრაკი

# სახალისო ჭადრაკი

# სალაღობო ამბები მეათე მსოფლიოს ჩემპიონის ცხოვრებიდან

*ბორის სპასკი, მსოფლიოს მეათე ჩემპიონი ჭადრაკში, პოლიტიკურად აბსოლუტურად მოუმზადებელი საბჭოთა მოქალაქე გახლდათ და საკვირველია, საერთოდ როგორ უშვებდნენ უცხოურ ტურნირებზე სათამაშოდ.*

## მარქსიზმ-ლენინიზმი

1955 წელს ანტვერპენში 18 წლის ბორის სპასკი ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა. ჭადრაკში იმ დროსაც ის უკვე პროფესორი იყო, მაგრამ დაფას მოშორდებოდა თუ არა, უმალ გულუბრყვილო ბავშვად გამოიყურებოდა.

ანტვერპენში ყოფნისას მან საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს — ცხადია, უშიშროების აგენტს, ჰკითხა, რატომ არის, რომ აქ, ბელგიაში მარქსიზმ-ლენინიზმს არ ასწავლიან, მაგრამ ხალხი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჩვენთან, საბჭოთა კავშირშიო.

დელეგაციის ხელმძღვანელის პასუხი უცნობია, მაგრამ, ეტყობა, მაინც კეთილი კაცი იყო, მოჭადრაკე სასჯელს რაკი გადაურჩა.

## ისევ ლენინი

მსოფლიოს სტუდენტთა ჩემპიონატის დროს სპასკიმ ისევ გამოიჩინა პოლიტუგუნურობა და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს შოკისმომგვრელი კითხვა დაუსვა: ლენინი რა ავადმყოფობით გარდაიცვალაო.

მაშინ ვინ გაბედავდა თქმას, ბელადი ვენერიულმა დაავადებამ იმსხვერპლაო.

## მოყვარული პროფესიონალი

60-იან წლებში მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად დანიელი გროსმეისტერი ლარსენიც ითვლებოდა, რომელსაც სპასკი მუდამ ამარცხებდა და ყოველი მოგების მერე ხუმრობდა, ლარსენს დიდი ამბიცია, მაგრამ მცირე ამუნიცია აქვსო.

ერთხელაც, 1968 წელს, როცა სპასკიმ ლარსენს საპრეტენდენტო მატჩიც მოუგო, თავს კიდევ ერთი პოლიტუგუნური ხუმრობის უფლება მისცა: „კი მოვუგე, მაგრამ რაღ გინდა — ლარსენი მოყვარულივით თამაშობს, მაგრამ პროფესიონალივით უხდიან, მე კი პირიქით, ნაღდი პროფესიონალი ვარ და მოყვარულის ანაზღაურებას მაძლევენ."

## დახასიათება

მორიგ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ, სპასკი, როგორც წესი, პარტიის მოსკოვის კომიტეტში დაიბარეს გასაუბრებაზე. ერთი ასეთი კითხვაც დაუსვეს, თუ იცით, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვინ არისო. ამაზე ჩემპიონმა კითხვითვე უპასუხა, თქვენ თუ იცით, ვინ არის მოსკოვის ჩემპიონი ჭადრაკშიო.



გამომცდელები შეშინდნენ: ვინ იცის, ეგებ ჭადრაკის დიდი მოყვარული ლეონიდ ბრეჟნევია მოსკოვის ჩემპიონი და არ ვიცითო. ერთი სიტყვით, ზედმეტი კითხვების გარეშე სპასკის საუკეთესო დახასიათება მისცეს.

## სხვა დახასიათება

მორიგი უცხოური ტურნირის წინ სპასკი ისევ დაიბარეს პარტიის კომიტეტში მორიგი დახასიათების მისაცემად. სპასკი წითელ კონტურმზე შემოხვეული ყვითელი შარფით გამოცხადდა, რისთვისაც სტაჟიანი ბოლშევიკი ქალის წყრომა დაიმსახურა, ეს თუთიყუში ვინ არისო. ამაზე სპასკიმ თანამედროვე მოდის ტენდენციებზე ლექციის კითხვა დაიწყო, მაგრამ შეაწყვეტინეს, იტალიაში მიმდინარე პროცესებზე რას გვეტყვითო — იმხანად საბჭოთა გაზეთები ბევრს წერდნენ სიცილიურ მაფიაზე.

სპასკიმ, თუ გნებავთ, ჰოლანდიაზე გიამბობთ, ბოლოს იქ გახლდითო.

როგორო, გაზეთებიდან მაინც არ იცით, რა ხდება იტალიაშიო — შეაწყვეტინეს სპასკის.

— გაზეთებიდან კი ვიცი, მაგრამ საბჭოთა გაზეთები ტყუილების წერაში მყავს შენიშნულიო.

— „პრავდაც" იტყუებაო? — დაფეთდნენ ბოლშევიკები.

— ყველაზე მეტსო.

ცხადია, ამის მერე დახასიათების მიცემაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

საჭადრაკო ჩინოვნიკები ძალიან დიდხანს ევედრებოდნენ ბოლშევიკებს სპასკის უცხოეთში გაშვებაზე და დიდი წვალებით, როგორც იქნა, დაითანხმეს.

**არტემ გეშაქოვი**

# ანთალიის ახლოს

თურქეთში, ანთალიის ახლოს დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში რიგით მეშვიდე. საჯინიბოებში ბევრი ხალხი იყრის თავს, მათ შორის, ქალებიც. ცნობისმოყვარეობა მანქანების მიმართ დიდია.

AFP ანთალიიდან



AFP ლისაბონიდან





# მარტუნისი

ამ ბიჭს, სახელად მარტუნისს დიდი ცუნამის დროს მთელი თავგადასავალი გადახდა. საბოლოოდ ის ბაბუამისმა გადაარჩინა სიკვდილს. იმ საშინელ დღეს ინდონეზიელ ბიჭუნას თურმე პორტუგალიის ნაკრების მაისურა ეცვა. ჰოდა, ახლა მარტუნისი ლისაბონშია, სკოლარიცა და რონალდოც გულში იკრავენ და დღეს თამაშსაც დაასწრებენ.

# ძველი ადათი

ყველაფერი იცვლება, საგოლფე ტაბლო კი არა, ოჰაოში მარფილდ ვილიჯის გოლფ კლუბში კვლავაც ძველი წესით აღბეჭდავენ ხოლმე შედეგებს. კარგი საცქერია.




# დაბადების დღე

შუა რიგიან გარიხის დროს მოუწია დაბადების დღემ რუს ნაკოლია დავიდენკოს. ტორტი არავის დანანებია.





# ბექჰემის აკადემია

ინგლისის ნაკრები ამერიკაშია და იქ მართავს ამხანაგურ თამაშებს. კალიფორნიაში კი დევიდ ბექჰემმა უკვე მეორე საფეხბურთო აკადემია გახსნა. ბავშვები სწავლობენ და თანაც ხარობენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კილაურიძე ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge